# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 29 იანვარი, 2011 წელი.

№18 (6629)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## შესაძლოა, სააკაშვილი მაშინ გაასამართლონ ჰააგაში, როცა ის უკვე პრეზიდენტი აღარ იქნება ②

## თუ პრეზიდენტი ბარბაროსულ აქტებში მონაწილეობდა, ეს გამოსაძიებელია!



„2004 წელს ჩეჩნეთის საკითხში გარდატეხას მიაღწია პუტინმა, რაშიც მე დავეხმარე. ამას შევარდნაძე არ აკეთებდა არასოდეს. შეიძლება, ვიღაცამ თქვას, რომ დიდი შეცდომა მომივიდა, მაგრამ, ვფიქრობ, ძალადობა და არეულობა საქართველოს არ აწყობს და ლოგიკურად ვიმოქმედე“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა 25 იანვარს ხალხის წინაშე გამოსვლისას. ③

### კვირაძალს საკითხავი



## როგორ დგება „განთიადი“ ⑥—⑦

## მამა ვლადიმერის ცხოვრების ოდისეა



## უღმერთოებო, სამშობლოს რად გვტაცებთ?! ④



## გლახა ჭრიაშვილის ⑧ სინდრომი ⑨

პასუხად ფსევდოაკადემიკოს დავით მუსხელიშვილს

## საქართველომ და ირანმა სავიზო რეჟიმი გააუქმეს ⑤

## უკანონობა იქნება, არაბულ ქვეყნებში დაწყებულ არეულობაში გარეშე ძალა რომ ჩაერიოს ②

## გვწყურავენ, კაცოო, გვწყურავენ! ③



**◉ ვარაუდი**

**ძნელი სათქმელია, ელოდება თუ არა მიხეილ სააკაშვილს სამხედრო ტრიბუნალი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო, მაგრამ ფაქტია, რომ მას ევროპის სისხლის სამართლის უმაღლეს სასამართლოში უჩივიან. უჩივიან როგორც საკუთარი ქვეყნის მოქალაქეები, ისე — მეზობელი სახელმწიფოსი. რამდენიმე ათასი ხელმომწერი საქართველოს პრეზიდენტის გასამართლებას ითხოვს. ასეთ საერთაშორისო დონის ინსტანციაში პროცედურები საკმაოდ მკაცრია და დროში გაწელილი...**

**ჩვენმა გაზეთმა ჰააგის ტრიბუნალის შესახებ კომენტარი ადამიანის უფლებათა დამცველ ლია მუხაშავრიას სთხოვა, მაგრამ ის საუბარს მოერიდა იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის საქმეების ევროპის სასამართლო ძალიან დახურული სტრუქტურაა, საიდანაც ინფორმაციის გამოტანა ერთობ რთულია. ამის შემდეგ მივმართეთ „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელს თეა წულუკიანს, რომელსაც ჰააგისაში არა, მაგრამ სტრასბურგის სასამართლოში მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს განაჩენის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეების სასარგებლოდ ქვეყნის ბიუჯეტს მილიონზე მეტი ევრო აქვს გადახდილი.**



**გვესაუბრება თეა წულუკიანი.**

# თეა წულუკიანი:
# შესაძლოა, რომ სააკაშვილი მაშინ გაასამართლონ ჰააგაში, როცა ის უკვე პრეზიდენტი აღარ იქნება

— როგორც ჩემთვის არის ცნობილი, საქართველოს მოქალაქეების სახელით შესულია რამდენიმე სარჩელი ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. ერთი ლეიბორისტულმა პარტიამ შეიტანა, მეორე — ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ. რუსეთმა აგვისტოს ომის დამთავრებიდან მალევე შეიტანა საჩივარი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ წარადგინეს სხვადასხვა მტკიცებულებები და ამბობდნენ, რომ ადგილი ჰქონდა ეთნიკური ნიშნის განურჩევლად, მოქალაქეების მიმართ იარაღის გამოყენებას ე. წ. სამხრეთ ოსეთში. შემდეგ ამას მოჰყვა საჩივრები უკვე არა მხოლოდ დანაშაულის, არამედ იმ ბრალეულობათა შესახებ, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება სჩადის საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ.

მე გავეცანი შალვა ხაჭაპურიძის გაგზავნილ საჩივარს. ის არის საკმაოდ პროფესიულად დაწერილი, მტკიცებულებებით გაჯერებული. მოყვანილია ფაქტები, სადაც მხილებულია ყველა ის დანაშაული, სააკაშვილის რეჟიმმა რომ ჩაიდინა. ეს არის ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები თუ სხვა. ლეიბორისტებს უკვე მოუვიდათ პასუხი, თუმცა წმინდა პროცედურული ხასიათისა. ეს ჯერ არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად მიიღებენ განსახილველად, ანუ მათი პასუხი დაახლოებით ასეთია: მიღებულია თქვენი საჩივარი, მოხდება მოცემული ინფორმაციის საფუძვლიანობის შესწავლა. ამის შემდეგ იწყება პროცედურები. ჰააგის სასამართლოს პროცედურა კი არის შემდეგი: ვინაიდან ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, პირველ ჯერზე ინფორმაციები თავს იყრის პროკურორთან. მან უნდა შეისწავლოს ყველა სახის ინფორმაცია, არის თუ არა მასში დანაშაულის ნიშნები. ამისათვის ხანდახან პროკურორს სჭირდება ამ ქვეყანაში ჩასვლა, რათა გადაამოწმოს და გაიგოს, რამდენად დასაბუთებულია ესა თუ ის ინფორმაცია.

**— ჩვენს ქვეყანას თუ სტუმრობდა ჰააგის სასამართლოს პროკურორი?**

— დიახ, ნამდვილად იყო ჩამოსული, მაგრამ რუსეთის მიერ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით. პროკურორი არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთსაც სტუმრობდა. ეს იყო გასაჯაროებული ინფორმაცია, ჰააგაში ჩასული იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანიც. რუსეთის პრეტენზიებთან დაკავშირებით უფრო ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. იმიტომ, რომ ის გაცილებით შორსწასული პროცესია.

> **თუკი საქმე გამოძიებამდე მივა, მაშინ დაიკითხებიან ბრალდებული პირები, ყველა მოწმე, ყველა დაინტერესებული პირი. რაც მთავარია, დაიკითხება ჩვენი პრეზიდენტი.**
> **მართალი გითხრათ, არ ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟისთვის სასარგებლო იქნება და რამეში წაგვადგება. თუმცა როდესაც ქვეყანას სჭირს ავადმყოფობა, არც თვალის დახუჭვა შეიძლება.**

თუკი პროკურორი მიზანშეწონილად ჩათვლის, რომ აშკარად იკვეთება დანაშაულის ნიშნები მოწოდებულ ინფორმაციაში, უკვე მოსამართლეს მიმართავს თხოვნით, აღძრას სისხლის სამართლის საქმე და დაიწყოს გამოძიება.

**— ჯერ გამოძიება დაწყებული არ არის?**

— ჯერ არა, მხოლოდ წინასწარი მოკვლევის პროცესია. თუკი საქმე გამოძიებამდე მივა, მაშინ დაიკითხებიან ბრალდებული პირები, ყველა მოწმე, ყველა დაინტერესებული პირი. რაც მთავარია, დაიკითხება ჩვენი პრეზიდენტი.

მართალი გითხრათ, არ ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟისთვის სასარგებლო იქნება და რამეში წაგვადგება. თუმცა როდესაც ქვეყანას სჭირს ავადმყოფობა, არც თვალის დახუჭვა შეიძლება. ჩვენ ვდგავართ დილემის წინაშე — როგორმე შიგნით მოვაგვაროთ პრობლემა, და თუ ამას ვერ ვახერხებთ, გარე მექანიზმები გამოვიყენოთ.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, საჭირო იყო თუ არა, ეჩივლათ ქვეყნის პრეზიდენტისთვის ჰააგაში? რამდენად გამართლებულია?**

— მე როგორც იურისტი, ვფიქრობ, რომ ყველა სამართლებრივი მეთოდი შეიძლება იქნას გამოყენებული და ამაში საძრახისს ვერაფერს ვხედავ. მაგრამ მეორე საქმეა, რას გადაწყვეტს ჰააგის სასამართლო, რამდენად სარწმუნოდ მიიჩნევს იქ წარდგენილ მტკიცებულებებს. აი, როგორც პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი და არა იურისტი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთ მეთოდს არ გამოვიყენებდი, რადგან პოლიტიკოსისთვის არა მხოლოდ იურისპრუდენციაა მთავარი, არამედ ისიც, რამდენად კარგად აისახება ეს ზოგადად ქვეყნის იმიჯზე. ის, რომ ჩვენს პრეზიდენტს ჰააგაში დაკითხავენ, ნამდვილად არ იქნება სასიამოვნო პროცესი...

**— დაახლოებით რა დრო დასჭირდება ამ პროცედურების გავლას?**

— როგორც ვიცი, კონკრეტული ვადები დადგენილი არ არის, პროკურორი დროში შეზღუდული არაა, გააჩნია, რა პერიოდი დასჭირდება მას მოკვლევისთვის. რუსეთის საჩივართან დაკავშირებით პროცესი საკმაოდ სწრაფად წაიყვანა პროკურორმა და 2009 წლის დასაწყისში დაიწყო ვიზიტები. დღემდე მიმდინარეობს მოკვლევა, ხოლო გამოძიება არ არის დაწყებული, საქმე არ არის აღძრული.

**— რამდენად ჰქონდა რუსეთს უფლება, საქართველოს ხელისუფლებისთვის ეჩივლა?**

— მას ამის უფლება ჰქონდა. რუსეთი პირდაპირ არის დაინტერესებული იმით, რომ ჩვენი ქვეყნის იმიჯი შელახოს და დაგვაზარალოს.

**— საქართველო რუსეთს ვერ უჩივლებდა, რადგან ის არ არის რომის სტატუტს მიერთებული...**

— დიახ, რომის სტატუტი არის ჰააგის სასამართლოს ფუძემდებლური დოკუმენტი. რადგან ჩვენმა ქვეყანამ ვალდებულება აიღო, რომ არ ჩაიდენდა კაცობრიობის წინაშე დანაშაულს, რუსეთს კი ასეთი ვალდებულება არ გააჩნია, მას უფლებამოსილება აქვს, გვიჩივლოს ჰააგაში. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

**— დავუშვათ, ჰააგაში მიიღეს წარმოებაში საქმე, რა ელოდება მიხეილ სააკაშვილს?**

— მან უნდა აგოს პასუხი. ხდება პირის დაკავება, შემდეგ გამოძიება და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სასჯელი აუცილებლად იქნება დაპატიმრება. რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთის ვადებს, ამას უკვე მოსამართლე გადაწყვეტს.

ჩვენ ახლა მაინც ვმარჩიელობთ, რადგან მოკვლევის ნაადრევ სტადიაზეა საქმე და თუ მაინც და მაინც გამოძიებამდე მივიდა, არ გამოვრიცხავ, რომ ეს მოხდება მაშინ, როცა ის არ იქნება პრეზიდენტი. ჰააგისთვის მთავარი არ არის, ის იქნება ქვეყნის სათავეში თუ არა, ის დაისჯება, როგორც პრეზიდენტი. უბრალოდ, ჰააგა არ იჩქარებს იმიტომ, რომ ის პრეზიდენტი არ იქნება, ან იმიტომ, რომ ვილაცას ეჩქარება ქვეყნის შიგნით.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

**◉ ინფორმაცია**

## ამერიკას ავღანეთიდან ჯარები გაჰყავს



**ამერიკის შეერთებული შტატები ავღანეთიდან ჯარებს ივლისის დასაწყისში გაიყვანს.**

**ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამერიკელების შეკითხვებზე პასუხისას განაცხადა.**

**მოსახლეობის კითხვებზე პასუხის გაცემისას, რომლის ხანგრძლივობამ დაახლოებით ერთი საათი შეადგინა, ობამამ აღნიშნა, რომ ავღანეთიდან ჯარებს ივლისში გაიყვანს და ხელისუფლება ადმინისტრაციულ ხარჯებსაც შეამცირებს.**

**აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე პირობა დადო, რომ ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა შემცირდეს უმუშევრობა, რომელმაც გასული წლის ბოლოს თითქმის 10% მიაღწია.**

## მიღებულ რეზოლუციებზე მონიტორინგი გრძელდება

**ევროსაბჭო რუსეთის მიმართ საქართველოს შესახებ მიღებულ სამივე რეზოლუციაზე მონიტორინგს გააგრძელებს. მომდევნო სესიისათვის კი სპეციალური მოხსენებაც მომზადდება.**

**სამივე რეზოლუციის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მონიტორინგის სხდომაზე მიიღეს.**

**დოკუმენტი რუსეთს მოუწოდებს, აღებული ყველა ვალდებულება შეასრულოს. კერძოდ, ეს ეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმებას, ევრომონიტორების დაშვებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე და დევნილების უსაფრთხო დაბრუნებას.**

**— სანამ არ მოხდება ქართული ტერიტორიების დეოკუპაცია, სანამ არ მოხდება დევნილების დაბრუნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამჟამად, მაგრამ შემდგომ უკვე დეოკუპირებულ ტერიტორიებზე, მანამდე რუსეთს ამ ვალდებულების შესრულებას მოსთხოვს ევროსაბჭო. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ გარდა ამისა, ყოველწლიურად კომიტეტის დღის წესრიგში იყოს სპეციფიკური სხდომის მოთხოვნა, სადაც განიხილება მხოლოდ და მხოლოდ ის ვალდებულებები, რომლებიც რუსეთს აქვს შესასრულებელი, — აცხადებს ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი.**

## უკანონობა იქნება, არაბულ ქვეყნებში დაწყებულ არეულობაში გარეშე ძალა რომ ჩაერიოს

**რამდენიმე არაბულ ქვეყანაში ძლიერი საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. როგორც საერთაშორისო საკითხებში ექსპერტმა ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, ეს აქციები ამ ქვეყნებში დიდი ხნის განმავლობაში არსებული ავტორიტარული რეჟიმების შეცვლის სურვილს უკავშირდება.**

**— ჯერჯერობით რაიმე სერიოზული ანალიზის გაკეთება რთულია. ზედაპირული ანალიზით, იმის თქმა შეიძლება, რომ ეს აქციები დიდი ხნის განმავლობაში ავტორიტარული რეჟიმების ყოფნას უკავშირდება. საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, რომ ამ ქვეყნებში დემოკრატიული მოთხოვნების ლოზუნგი ვითარდება. მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. რაც შეიძლება ითქვას ყირგიზეთზე. მსგავსი მუხტი იყო უზბეკეთშიც, თუმცა ხელისუფლებამ მწვავე მეთოდებით ჩაახშო, — განაცხადა მენაღარიშვილმა.**

**მისი თქმით, ამ ეტაპზე მსოფლიო ლიდერებმა არ უნდა მიიღონ იგივე ეგვიპტისა და ტუნისის შიდა საქმეებში ჩარევის გადაწყვეტილება. „ეს ამ ეტაპზე არ შეიძლება და უკანონოც იქნება. თუ მშვიდობიანი მუხტი სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა, მერე უკვე შესაძლებელია. მანამდე კი სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვანაირად შეიძლება დაეხმარონ, იგივე ჰუმანიტარული დახმარებით, რადგან, როდესაც ასეთი მოვლენები ვითარდება, ეკონომიკური პრობლემები იჩენს ხოლმე თავს ქვეყანაში, — განმარტავს მენაღარიშვილი.**

**ჯი-ეიჩ-ენი**



რებუსი

# ერთი დემოგრაფიული ეკვილიბრისტიკის შესახებ

სააკაშვილმა თავისი გაუზრდელობის საქვეყნო დემონსტრირება მაშინ დაიწყო, როცა ახალდაარსებული „ქართული აკადემიის“ წევრებს „ჩარეცხილები“ უწოდა და მას მერეც ქართულ საზოგადოებას უტიფრობის არა ერთი და ორი „შედევრი“ მოასმენინა. ამ სტილური ხაზის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს 25 იანვრის მორიგი ტელეფარსი – „დაუსვით შეკითხვა პრეზიდენტს“, რომელშიც სააკაშვილის ცინიზმმა და თავხედობამ კულმინაციას (ჯერჯერობით) მიაღწია. მან მოშიმშილე ვეტერანებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მეომართა მემორიალთან საცვლების გამოფენა და, კულტურული პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, მარადიულ ცეცხლთან ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დააბრალა (ამ დროს მას განრისხებული და შეურაცხყოფილი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა).

სააკაშვილის ამ და სხვა შოკისმომგვრელ გამონათქვამებზე ამჯერად ყურადღებას არ გავამახვილებთ, მით უმეტეს, ამ გამონათქვამებიდან ზოგიერთის გამომწვევი მიზეზიცა და მიზანიც მედიცინის სფეროს განეკუთვნება. მაგრამ არ შეგვიძლია, ურეაგირებოდ დავტოვოთ ერთი ფაქტი – თუ როგორ აპირებენ სააკაშვილი და მისი „პროგრესული“ მთავრობა ქვეყანაში დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას.

ერთი ტურისტის სრულფასოვან მომსახურებას ოთხი ადამიანი სჭირდებაო, – აცხადებს სააკაშვილი და, ნებსით თუ უნებლიეთ, ამჟღავნებს ნაცხელისუფლების საბოლოო მიზანს, კერძოდ, ქართველებს არსებობის ძირითად ფორმად უცხოელთა მომსახურე ერის ფუნქცია განუსაზღვროს, რაზეც, სხვათა შორის, „ქართული აკადემია“ წერდა და აცხადებდა დღიდან დაარსებისა. რამდენადაც საქართველოს წელს, მთავრობის თქმით, ერთი მილიონი ტურისტი სწვევია, ამ რაოდენობის სტუმარს დიდი გაჭირვებით, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მაინც აუვა. მაგრამ რა ვუყოთ სააკაშვილის ზღვარდაუდებელი ფანტაზიის მორიგ ნაყოფს – მალე ტურისტთა რაოდენობა 5 მილიონს მიაღწევსო? საიდან უნდა გაჩნდეს საქართველოში მათი მომსახურებისათვის საჭირო 20 მილიონი ადამიანი?

დაველოდოთ, რა გზებსა და საშუალებებს შემოგვთავაზებს სააკაშვილი ამ დემოგრაფიული რებუსის ამოსახსნელად.

**„ქართული აკადემია“.**
27.I.2011

ექო

# თუ სააკაშვილი ბარბაროსულ აქტებში მონაწილეობდა, ეს გამოძიებას საჭიროებს

***„2004 წელს ჩეჩნეთის საკითხში გარდატეხას მიაღწია პუტინმა, რაშიც მე დავეხმარე. ამას შევარდნაძე არ აკეთებდა არასოდეს. შეიძლება, ვიღაცამ თქვას, რომ დიდი შეცდომა მომივიდა, მაგრამ ვფიქრობ, ძალადობა და არეულობა საქართველოს არ აწყობს და ლოგიკურად ვიმოქმედე“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა 25 იანვარს ხალხის წინაშე გამოსვლისას.***

მიხეილ სააკაშვილის ამ სიტყვებზე კომენტარი ვთხოვეთ ექსპერტ **ირაკლი სესიაშვილს:**

**– ამ საინტერესო მომენტზე ჩვენმა საზოგადოებამ რატომღაც ყურადღება არ გაამახვილა. თუ პუტინს ჩეჩნების წინააღმდეგ სააკაშვილიც დაეხმარა, მაშინ თავად მასაც მიუძღვის წილი ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ ბარბაროსული აქტების ჩადენაში.**

**სააკაშვილს არ დაუკონკრეტებია, რაში დაეხმარა, ამიტომ ძნელია ვივარაუდოთ, რა იგულისხმა. როგორც ჩანს, გარკვეული ცოდვა მიუძღვის კავკასიელი ხალხების მიმართ. ეს მან პირდაპირ განაცხადა, ანუ თავის დროზე, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, პუტინს ეხმარებოდა.**

**სჯობს, მან კონკრეტულად დაასახელოს, რაში გამოიხატებოდა პუტინის მიმართ დახმარება. თუ იგულისხმება ის ბარბაროსული აქტები, რითიც ჩეჩენ მოსახლეობას სასტიკად უსწორდებოდა, ეს გამოძიებას საჭიროებს და გამოძიებულ უნდა იქნას.**

ჩაიწერა
**ნატა ნიგლაძემ**



პოზიცია



# ვითომ კიდევ უფრო გაგვემიჯნებიან?

**კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის გოგი ხუციშვილის ინფორმაციით, „საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით არ თანხმდება დასავლეთის ახალ ინიციატივას, პირდაპირი კონტაქტები დაამყაროს“ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან .**

როგორც კონფლიქტოლოგმა „პირველთან“ საუბარში აღნიშნა, **„საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების მიზნით ახალი სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან პირდაპირი კონტაქტების დამყარებას და ამ გზით რეგიონში რუსეთის როლის შემცირებას ითვალისწინებს“.**

მისივე ინფორმაციით, **„აღნიშნული ინიციატივა განსაკუთრებით საინტერესოა აფხაზებისთვის, რომლებიც რუსეთის დომინირებით შეწუხებულნი არიან და რეალური დამოუკიდებლობისთვის უფრო მეტად იბრძვიან, ვიდრე ოსები, მათ ევროპასთან დაახლოებას კი ის უშლის ხელს, რომ ევროკავშირს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მკაცრად აქვს დაფიქსირებული“.**

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, პოლიტოლოგის ინფორმაციით, **„საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობის ამ გეგმას ძნელად თანხმდება, ვინაიდან ვარაუდობს, რომ იგი სეპარატისტული რეგიონების თბილისისგან კიდევ უფრო განცალკევებას შეუწყობს ხელს“.**

„აქამდე ევროპას ჰქონდა სტრატეგია „ჩართულობა აღიარების გარეშე“. ამავდროულად დასავლეთი აცხადებდა, რომ ნებისმიერი პროექტი აფხაზეთში თბილისის გავლით უნდა განხორციელებულიყო, რაც პირველ გეგმას თავისთავად გამორიცხავდა. ევროპა არჩევანის წინაშე დადგა: ან საერთოდ არ ჩარეულიყო კონფლიქტებში, ან სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობის დამყარება თბილისის გავლით ეცადა, რაც ვერ მოხერხდა. სიტუაცია ჩიხში მოექცა და კონფლიქტები უნდა „გაყინულიყო“. ევროპა მიხვდა, რომ ასეთ ვითარებაში აფხაზეთთან კონტაქტების დამყარება შესაძლოა, თურქეთს ან სხვა ვინმეს ეცადა, ამიტომ ახლა სხვა გეგმა შეიმუშავა, რომლის თანახმად, ეს რეგიონები იზოლაციიდან უნდა გამოიყვანოს, ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობა შესთავაზოს, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელ, არამედ როგორც სადავო ერთეულებს. ცხადია, ეს მოქმედება გარკვეულწილად საქართველოს ხელისუფლებასთან უნდა იყოს შეთანხმებული, თუმცა სეპარატისტებს ამ გეგმას თბილისის მიერ დამტკიცებულად არ ახვევენ თავს“, – განმარტა ხუციშვილმა.

მისივე აზრით, **„ოფიციალურმა თბილისმა ახალი გეგმის განხორციელებისადმი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, თუმცა ის მიდგომა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი იზოლირებული იყოს და თბილისის გარეშე იქ არაფერი ხორციელდებოდეს, არასწორია იმდენად, რამდენადაც ასე უბრალოდ არ გამოდის“.**

**„ფაქტია, რომ აფხაზები და ოსები შიმშილით არ კვდებიან, რადგან მათ რუსეთი ამარაგებს, ხოლო დასავლეთისგან იზოლირებით ჩვენ მათ ვაიძულებთ, მარტო რუსეთზე იყვნენ დამოკიდებული. დროთა განმავლობაში მათი აღიარება ამ პოლიტიკის პირობებში უფროა რეალური, ამიტომ ის, რომ ევროპა სხვა, უფრო რეალისტურ გზებს ეძებს, ბუნებრივია“,** – განმარტა ხუციშვილმა.

პოლიტოლოგი პირდაპირი კონტაქტების დამყარების კვალდაკვალ დასავლეთის ქვეყნების მიერ დროთა განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული რეგიონების აღიარებას არარეალურად მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ **„ევროპის საბჭო და ევროკავშირი საქართველოს ინტერესების გაუთვალისწინებლად არ მოიქცევიან“.**

პირველი

მეწარმემ მოიწერა

# გვწურავენ, კაცოო, გვწურავენ!

## ამ მთავრობას უნდა, ხალხი კრიზისზე ლაპარაკით გამოკვებოს

**რედაქციაში ვინმე გაწურულაშვილმა წერილი გამოგზავნა. რედაქტორმა მთხოვა, თუ ძმა ხარ, ჩაიხედე ერთი, ეს ადამიანი რას შეუწუხებია და თუ რამე ღირებულია, გამოვაქვეყნოთო. ავტორს წერილზე თავის ტელეფონიც მიეწერა. ვიფიქრე, ბარემ გავესაუბრები, იქნებ დამატებით კიდევ რამე „გამოვტყუო“-მეთქი და წერილში მინიშნებული ნომერი ავკრიფე.**



– გისმენთ, ბატონო! – მომესმა ყურმილში უცნობი მამაკაცის გაწურული ხმა.

**– ირაკლი გაწურულაშვილი ბრძანდებით?**

– ნამდვილად მე გახლავართ, თქვენ რა, საეჭვოდ მოგეჩვენათ?

**– რა ვიცი, ცოტა უცნაურად ჟღერს ეს გვარი და...**

– პირიქით, ძალიან საცნაური გვარია, ამ მთავრობის ხელში ჩვენ ყველანი განა გაწურულები არა ვართ?

**– გასაგებია, გასაგები, გინდა თქვათ, რომ გვარი გადაკეთებული გაქვთ?**

– ჰო, ადრე კვიციანი ვიყავი, ახლა დროის შესაფერისად, გაწურულაშვილი გავხდი.

**– ეგ როგორ, სვანი კაცი ასე იოლად გაგწურეს?**

– მიშას, ბატონო, იმხელა რუსეთის გაწურვა არ გასძნელებია და ჩემი გაუჭირდებოდა?

**– რუსეთი როგორმე დაუსხლტება მიშას, მაგრამ თქვენ რას აპირებთ? თუ საიდუმლო არ არის, იქნებ გვითხრათ, რა პროფესიის ბრძანდებით?**

– ხაბაზი გახლავართ, პატარა საცხობი მაქვს და იმით დიდი გაჭირვებით ვარჩენ ოჯახს.

**– რატომ გაჭირვებით?** – არ ვეთანხმები, – **პურის ფასი, ისევე როგორც სხვა დანარჩენი პროდუქტებისა, წარამარა იზრდება და, როგორც ამბობენ, მალე ლარნახევარი გახდება. არ მესმის, ასეთ პირობებში ხაბაზებს რა გაქვთ საწუწუნო?**

– უბედურებაც მაგაშია, რომ პურის ფასი სულ მაღლა-მაღლა მიიწევს, ჩვენი შემოსავლები კი სულ დაბლა-დაბლა მიექანება. აქეთ მთავრობა გვიჭერს ყელში მეწარმეებს, იქით მომხმარებელი გვემდურება. კაცი პურს რომ აიღებს ხელში, მის გამომცხობელს კი არ უნდა აგინებდეს, პირიქთ, უნდა ლოცავდეს.

**– თქვენც ისე მოიქეცით, რომ გლოცავდნენ.**

– კი გვინდა, მაგრამ არ გამოდის. აი ნახეთ, რა ფასები ადევს ელექტროენერგიას, გაზს, წყალს, რა გვიჯდება გადასახადები და ჯარიმები, რომელსაც წარამარა წამოგვკიდებენ ხოლმე. ერთი სიტყვით, გვწურავენ, ბატონო, ლიმონივით გვწურავენ მეწარმეებს და ეს ყველაფერი შემდეგ წარმოებული პროდუქციის ფასში აისახება.

**– რა ვიცი, პრეზიდენტი არ იყო, ამას წინათ მეწარმეებს რომ გიცავდათ? მორჩა მათზე ზეწოლა და მოხრჩობა,** – განაცხადა ტელევიზიით მთელი ქვეყნის გასაგონად, **– აწი მეწარმეს უბატონოდ ხმას ვეღარავინ გასცემს, სახელმწიფო ყოველ ფეხის ნაბიჯზე მისი დამხმარე და პარტნიორი გახდებაო.**

– კარგით ერთი, ვითომ პირველად ისმენდეთ სახელისუფლებო ზღაპრებს. მიშა ყოველთვის ასე ლაპარაკობს, საქმით კი საწინააღმდეგოს აკეთებს.

**– რას გულისხმობთ? რატომ არ გინდათ გაითვალისწინოთ, რომ გლობალური კრიზისი მთელ მსოფლიოში მძვინვარებს და ის თავის კლანჭებს საქართველოსაც ასობს.**

იხ. 4 გვ.

## გულის ბუხარი

**ერთი ჩემი ნაცნობი მარტოხელა ქალბატონი შემხვდა, ქმარი რუსეთში გაექცა, აქაურ ვაიუბედურებას ვერ გაუძლო, იქნებ იქ ფული ვიშოვოო. ერთი ორჯერ რაღაც თანხა გადმოუგზავნა და გაქრა, დედა ზრდის თავის ერთას, ჰგონია, სამშობლოსთვის, რომელიც თითქმის არ არსებობს... თან ჰყვება თავის იმედს, მომავალს, რომელიც ბუნებაში ასევე უკვე თითქმის აღარ არსებობს.**

— თურმე მერია 15 ათას ლარს იხდის სასმელი წყლის შემოსატანად, თანამშრომლებს რუსთავის წყალს არ ასმევს, — მეუბნება შეშფოთებული, — მე კი წყლის გადასახადს ვერ ვიხდი და არ ვიცი, როდის შემიწყვეტენ, ალბათ წყალი, რომელსაც ჩვენ ვსვამთ, არ ვარგა, თორემ საიდანღაც რატომ შემოაქვთ, ან ქალაქის მოსახლეობა რომ იღებს, ის წყალი დასალევად თუ არ ვარგა, ჩვენ რატომ გვწირავენ?

— შუქი გადამიჭრეს, ბატონო, მეც მარტოხელა პენსიონერი ვარ, — ახლა მისი თანმხლები მოხუცი ქალბატონი შემომევედრა, — ჩემი პენსია, ამ უსაშველოდ გაძვირებულ წამლებს მიაქვს, მარტო პურითა და წყლით ვარსებობ, შუქი გამომირთეს, დავალიანება მაქვს და...

ამ დროს რუსთავი ჯერ კიდევ დღისით, შემობინდებულს ვერ დაარქმევ, ასე ხუთი საათის შემდეგ, აბრდღვიალდება, მართლაც ლამაზია გაჩირაღდნებული ქალაქი, ძვირად ღირებული ლამპიონის ფერებში მოჩახჩახე ქუჩები, საკვები თვით რუსთავ-თბილისის მაგისტრალიც კი გაკაშკაშდება, მათი შემხედვარე ვერ წარმოიდგენ, რომ მოსახლეობის ლამის 80 პროცენტი უმუშევარია, უზომოდ შეჭირვებული სიღატაკეში იხრჩობა... იმ დღეს მაღაზიაში, შაქრის ბუმი რომ ატყდა (ესეც მორიგი ხრიკი), ელვისებურად გაიზარდა მისი ფასი, 2 ლარსა და 60 თეთრს მიაღწია და ხალხი პანიკაში ჩავარდა. ერთმა, სამი შვილის დედამ, ლამის იტირა, რაღა მეშველება, ბავშვებს აქამდე ჩაის მაინც ვასმევდიო, ეხლა შაქარსაც ველარ ვიყიდიო. მერე გამყიდველს 300 გრამი ააწონინა. ვისაც ფული ჰქონდა, ხუთ ან ათ კილოსაც კი ყიდულობდა. არადა, როგორც აღმოჩნდა, ეს ფარსი ყოფილა, ხალხის გაძარცვის მორიგი მცდელობა, თორემ ფასს რომ აუწიეს, შაქარიც გამოჩნდა.

საქართველოს ტელე-რადიოში ჟურნალისტად მუშაობის წლებში, იმ კომუნისტების ქვეყანაში, რადიოს ჰქონდა გადაცემა: „სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია“. ნახევარსაათიან პროგრამაში საუბარი იყო იმ გამორჩეულ ადამიანებზე, რომლებიც ქმნიდნენ ქართულ სახელმწიფოს, შრომობდნენ სოფლად თუ ქალაქად, თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდნენ მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, ამაღლებდნენ ქართულ კულტურას, ეთაყვანებოდნენ და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ მშობლიურ ენას, მამაპაპისეულ ულამაზეს, მართლაც გამორჩეულ ტრადიციებს... დიახ, სამშობლო მარტო ლამაზი, ცათამბჯენი მთები, მდინარეები, ზღვები და ველები როდია, სამშობლო — უადამიანებოდ — ეს სიცარიელეა, არარაობაა. ჰოდა, უფალმა ამად შექმნა ადამიანი.

აი, ჩვენი ხელისუფლება წვეთწვეთად კი არა, ნაკადულად გვცლის სისხლისგან, ეს დღეები ადამიანები შეძრწუნებულნი არიან ხელისუფლების ბარბაროსობით, ის რაც სისხლიანმა არძინბამ დააკლო იქაურ ქართველობას, ახლა მიშა სააკაშვილი, ჩვენს მიერ არარჩეული, და მაინც პრეზიდენტი რომ ჰქვია, ისე მიერეკება თბილისიდან მოხუცს თუ ბავშვს, ხელში ჩვილატატაბულ დედებს, ავადმყოფებს... საშინელი სანახავი იყო ის კადრი, როდესაც მამა და შვილი უშველებელ, დახურულ ტრაილერში, თუ რაღაც უბედურებაში, ისინი ულმერთოდ შერეკეს და კარები მიუხურეს, ასე მიჰყავდათ ცხვრები ყიზლარში, ზამთრის საძოვრებზე, ჰიტლერელებიც, პირსისხლიანი ფაშისტებიც ასე მიერეკებოდნენ, დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას კრემატორიუმებსა თუ გაზის კამერებში სასიკვდილოდ.

საცოდავზე საცოდავია ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი რომ ჰქვია, ის სუბელიანი, ის ხომ სააკაშვილის მსხვერპლია, ისეთ საქმეს აკეთებინებს, მარტო საქართველოში კი არა, ქვეყნად არ დაედგომება იმ უბედურს. არადა, წარმოშობით სვანს, ულამაზესი მთების შვილს, ამაყი კუთხის ნაშიერს, იმისი ვაჟკაცობაც არ ჰყოფნის, ადგეს და კაცურად გაეცალოს იქაურობას, მაგრამ ეშინია, რადგან არმად მოხვეჭილ მილიონებს ეგრევე დააყრევინებენ! ვაი, საბრალო ყოფილო სტიქაროსანო და მძლოლო, შენს შვილებს რას ეტყვი მერე!

მაგრამ მარტო ლტოლვილებში როდია საქმე, ცბიერი ხელისუფლება შორსმჭვრეტელობს, წინასწარ აშინებს მოსახლეობას. დიახ, ყველა შიშით უნდა თრთოდეს, რომ არავინ გაბედოს ხმის ამოღება, თორემ ჩვენც ისევე აგვყრიან და გაგვასახლებენ უმისამართოდ ჩვენჩვენი სახლებიდანო. ხალხი გაბოროტებულია, ამაში დამერწუნება, ყველა, ვინც თუნდაც ქუჩაში მოსიარულეთ დააკვირდება, ნანახისგან, განცდილისგან უძილონი, დათრგუნულები, დაბეჩავებულნი, ნაცნობებსაც კი ძლივს ესალმებიან, თორემ ქართველი კაცი, თავისი სიკეთით, სილაღით უცნობსაც ეფერებოდა ხოლმე.

თითოეული ადამიანი ხომ სამშობლოს წვეთი სისხლია. ჩვენს ისედაც მცირერიცხოვან ერში, უხვთოდ დაღვრილი ამ წვეთებიდან იცლება სამშობლო ქვეყანა, და მერე აქ სხვა ხალხის ჟრიამული კი მომრავლდება, მაგრამ ის საქართველო აღარ იქნება.

რომ იტყვიან, ერთზე და ორზე რომ იყოს საუბარი, კიდევ ჰო, მაგრამ ასები კი არა, ასი ათასები უკვე შიმშილობენ, ბევრი მაღაზიაში წინა დღის ჩამოფასებულ პურს ყიდულობს, კიდევ უარესი მდგომარეობაა სოფლად, სამეგრელოში გვალვიანმა ზაფხულმა სიმინდიც კი გამოაცალა ოჯახებს, ასეთი კატასტროფა იმ სამამულო ომის დროსაც არ ყოფილა, მაშინ ამერიკა ეხმარებოდა ქვეყანას, ხელისუფლებაც აპურებდა, რომ გადაერჩინათ ადამიანები. არ ვიცი, ზაფხულში რა მოხდება, გლეხები ალბათ ბალახზე გადავლენ.

**გივი ჯახუა.**



# უღმერთოებო, სამშობლოს რად გვტაცებთ?!



*P. S. აუჰ, ეს რა იყო, რა ილადავა ტელევიზიით, მერე როგორ გაქაფული უბერავდა, პატრონი არ ჰყავს ამ უბედურს, ურჩიოს რამე დაარიგოს მაინცაო, — ვინც გაუძლო და ცალი თვალ-ყურით შეხედა და უსმინა მეცხრე ციდან ჩამოფრენილი მიშას ყბედობას, ყველა აღშფოთებული იყო მეორე დღეს, თვით ზოგი ნაციონალიც, ჯიბის ტელევიზიებისგან ნათრიაქალ-დაბოლებულნი და ტვინნაღრძობნიც კი. გაოცებული ცოტაა, გაწბილებული — დიდი თუ პატარა. ასე აღშფოთებული ადამიანები დიდი ხანია არ მინახავს. არ ვიცი, ისინი სხვას რას მოელოდნენ, მაგრამ საქმე შავზე შავად რომაა, ცხადია, მერე „კავკასიის“ ეკრანიდან კი შეუბრუნეს ოპოზიციის გენერლებმა, მაგრამ მიშას ისინი ფეხზე ჰკიდია, აკი ოპოზიციასაც გადაუარა.*

*როდემდის, როდემდის, როდემდის?*

**გ. ჯ.**

## მეწარმემ მოიწერა

# გვწურავენ, კაცოო, გვწურავენ!

(მესამე გვერდიდან)

— რასაც ვგულისხმობ, ჩემ წერილში (თუკი წაიკითხეთ) გასაგებად მაქვს ახსნილი. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მართლაც გამოიწვია პროდუქტებზე ფასების ზრდა, მაგრამ არა ისეთი, რაც ჩვენს სინამდვილეში ხდება. მიმაჩნია, რომ, როგორც ყოველთვის, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ჩვენს მსგავს ქვეყნებს უნდა შევედაროთ ფასების ზრდაში და მაშინ ძნელი მისახვედრი არ იქნება, რასთან გვაქვს საქმე.

**— მაინც რასთან გვაქვს საქმე?**

— მთავრობის მხრიდან საბაზრო ეკონომიკაში მცდარ და უხეშ ჩარევასთან, რამაც მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი შედეგები გამოიწვია. ამის თვალსაჩინო მაგალითია ადგილობრივი წისქვილკომბინატების დასაქმების მიზნით ფქვილის ბაზრის გადაკეტვა, რასაც შედეგად მოყვა თავად წისქვილებისა და საცხობების გაკოტრება. ხომ გამოაშკარავდა, რომ აღნიშნული ქმედება მცდარია, ფქვილის ბაზარი, სადაც მეწარმე არჩევანს ვერ გააკეთებს ფასში და ხარისხში, მიუღებელია. ვინ აიღო ამ მცდარ ნაბიჯზე პასუხისმგებლობა? არავინ.

**— კიდევ რა პრეტენზიები გაქვთ მთავრობის მისამართით?**

— უამრავი, მაგრამ ყველას სად ჩამოთვლი კაცი. **გაუგებარია, მაგალითად უკრაინაში, მოლდოვასა და აზერბაიჯანში, გლობალური კრიზისის მიუხედავად, რატომ ღირს დღესაც ერთი ტომარა ფქვილი 32-35 ლარი, ხოლო საქართველოში 50-55 ლარი? ფქვილის ფასმა ლარზე გადაანგარიშებით ამ ქვეყნებში 4-5 ლარით მოიმატა, ჩვენში კი მთელი ორი ათეული ლარით(!). რა ხდება, ნუთუ ამაზე არავინ დაფიქრებულა საქართველოს მთავრობაში?** ფასები ყოველდღიურად იზრდება შაქარზე, ბრინჯზე, ზეთზე, წიწიბურაზე და კვების სხვა პროდუქტებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ენერგომატარებლებზე, რომელთა ფასები ჩვენში ევროპულს არ ჩამოუვარდება, თუმცა ჩვენი ხელფასები და პენსიები იქაურთან შედარებით ბევრად მცირეა.

**— სამაგიეროდ მთავრობა გვპირდება, რომ აქვს ხორბლის საკმაოდ დიდი მარაგი და ქვეყანას პურის დეფიციტის საშიშროება არ ემუქრება.**

— არ დაიჯეროთ, ეს ყველაფერი პიარია და მთავრობის მხრიდან თავის გადარჩენის ინტერესებს ემსახურება. **თუ ხორბლის ამხელა მარაგი აქვთ, მაშინ აგვიხსნან, საახალწლოდ 45-ლარიანი ერთი ტომარა ფქვილი, რომელიც ჩვენში მზადდება, 48 ლარი რატომ გახდა? იქნებ გვითხრან, ეს ბიზნესგაუმაძღრობაა თუ საგადასახადო ყვლეფის მორიგი რაუნდი?** მთელმა რიგმა ქვეყნებმა კრიზისისგან საკუთარი ბაზრის დასაცავად კონკრეტული ღონისძიებები განახორციელეს — ზოგმა ხორბლის გატანა შეზღუდა, ზოგმა საგადასახადო მარაუჟები შეამსუბუქა (კვების პროდუქტებზე ფასები რომ არ გაქცეულიყო), ჩვენთან კი სხედან და გულხელდაკრეფილნი შეჰყურებენ ინფლაციის შემოტევას.

**— არც მასეა საქმე ბატონო გაწურულაშვილო, როგორც თქვენ ხატავთ. განა არ მოგისმენიათ ტელეეთერით მთავრობის სხდომებსა და თათბირებზე კრიზისის შენელების ფაქტორებზე როგორი სიმძაფრითა და შეშფოთებით ლაპარაკობენ?**

— საქმეც ეგ არის, რომ **ხელისუფლება რეალურად არაფერს აკეთებს და მხოლოდ აუტანელ და საძულველ კრიზისზე ლაპარაკით ცდილობს ხალხის გამოკვებას.** ამასობაში კრიზისი თავის საქმეს აკეთებს, თანაც შენიღბულად. ვინც კრიზისი გააღრმავა, ის შეინიღბა, რადგანაც იმპორტული პროდუქციის შემომტანმა, რომელსაც საეჭვო კონკურენტი ჩამოაშორეს, თავისი გაინაღდა, სახელმწიფომ კიდევ — თავისი. ხალხს კი ხელში მწვავე კრიზისის შედეგები შემორჩა, რომელმაც კაცმა არ იცის, როგორი მასშტაბისა და სისასტიკის მშიერი ბუნტი მოჰყვება(!).

მთავრობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ხელისუფლების „გონივრული“ პოლიტიკითა თუ გლობალური კრიზისის მარწუხებით გაწურული მეწარმის ამ შეუფერადებელმა პროგნოზმა, ცოტა არ იყოს, დამაფიქრა. თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, რაზეც ხაბაზმა ილაპარაკა, ხომ შეიძლება ხვალ შაქართან და ზეთთან ერთად პურის ფასიც გაორმაგდეს?

**ოთარ ხუციშვილი**

## ინფორმაცია

### ახალი მინი-ფაბრიკა ხელთუბანში გაიხსნა

**შიდა** ქართლის გუბერნატორმა ზურაბ არსოშვილმა და UNHCR წარმომადგენლის მოადგილემ კრისტოფ ბიერვირთიმ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში მეფრინველეობის ახალი მინი-ფაბრიკა გახსნეს.



მეფრინველეობის მინი-ფაბრიკის მშენებლობა განახორციელა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობამ საქართველოში, მისი პარტნიორი ორგანიზაციის — საერთაშორისო დახმარებისა და განვითარების სააგენტოს მეშვეობით. მინი-ფაბრიკაში 15 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება და გათვლილია ორთვიანი ციკლით 8000 ქათმის გაზრდაზე.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა სათემო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 20 ოჯახს, რომლის ოჯახის წევრებიც იქნებიან დასაქმებულნი მინი-ფაბრიკაში. სათემო ორგანიზაციის წევრებს ჩაუტარდებათ სხვადასხვა სახის ტრეინინგები, რომლებიც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქციის შექმნას, პროდუქციის რეალიზაციას და ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობას.

აღნიშნული პროექტით დევნილი მოსახლეობაც ისარგებლებს. მინი-ფაბრიკის ქათმებისთვის საკვებად საჭირო ნედლეული, კერძოდ სიმინდი, შეძენილი იქნება ახლომდებარე ბერბუკის ახალ ჩასახლებაში მცხოვრები დევნილებისგან, რაც დევნილების შემოსავლის გაზრდას საშუალებას მისცემს.

ჯო-ეის-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველომ და ირანმა სავიზო რეჟიმი გააუქმეს

**26 იანვარს ძალაში შევიდა უვიზო რეჟიმი საქართველოსა და ირანს შორის. თბილისში იმედი აქვთ, რომ სასაზღვრო ფორმალობის გამარტივებას მოჰყვება ტურისტების ნაკადის გაზრდა ირანიდან, აგრეთვე ინვესტიციებისა, რაც საქართველოს ეკონომიკას ძალიან სჭირდება.**

ამიერიდან ორივე ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ უვიზო ყოფნის უფლება ერთი მეორის ტერიტორიაზე 45 დღის განმავლობაში. უფრო ხანგრძლივი დროისთვის საჭიროა მიიღო ვიზა ან შესაბამისი ნებართვა, იტყობინება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

„იმედი გვაქვს, რომ ეს შეთანხმება გახდება საფუძველი ორ ხალხს შორის მეგობრულ ურთიერთობათა გაფართოებისა და გაღრმავებისთვის და იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას“, – ამბობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ინგა კიკვაძე.

შეთანხმებას სავიზო რეჟიმის შესახებ ხელი მოეწერა შარშან ნოემბერში. მაშინვე, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, განახლდა პირდაპირი საავიაციო მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის.

ხელოვნებათმცოდნე ნინო ყოველთვის ოცნებობდა ირანში ჩასვლაზე, მაგრამ მას მოუწევს დაკმაყოფილდეს ადგილობრივი კურორტებით.

„უფრო მეტად აღმოსავლეთი მიზიდავს, როგორც ახლო, ისე შორეული აღმოსავლეთი, – ამბობს ნინო. – შესაძლებლობა რომ მქონდეს, იქ წავიდოდი“.

„მოგზაურობებისთვის ძირითადი დაბრკოლება ფინანსების უკმარისობაა, – აღიარებს ნინო. – მაგრამ ვიზებიც ბევრ დაბრკოლებას გვიქმნის. ასე რომ, ამ ორომტრიალიდან გათავისუფლება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შვებულების დაგეგმვის დროს“.

ტურისტული ოპერატორების სიტყვებით, ისეთები, როგორიცაა ნინო, ჯერჯერობით გამონაკლისია, ვინაიდან ქართველი ტურისტების ინტერესები ირანისადმი დიდი არ არის.

„ტურისტები საქართველოდან უპირატესობას ანიჭებენ ევროპულ ქვეყნებს ან ეგვიპტეს, – ამბობს კომპანია „ინტურისტი-საქართველოს“ დირექტორი ნონა ნინიძე. – ირანი თავისი ისტორიითა და აღმოსავლური კოლორიტით ასევე აინტერესებთ ქართველებს, მაგრამ მაინც ჩვენი თანამემამულეებისთვის ძირითადი მიმართულებანი – ეს არის ეგვიპტე, ესპანეთი, იტალია და ჩეხეთი“.

ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი კახა გოგოლაშვილი ამბობს, რომ ირანთან ვიზების გაუქმება რადიკალურ ცვლილებებს არ გამოიწვევს, ვინაიდან განსაკუთრებული სირთულე ვიზებთან დაკავშირებით ამ ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეებს არ ჰქონიათ.

„ამას არ მოჰყვება რაიმე განსაკუთრებული ცვლილებები, – ამბობს გოგოლაშვილი. – მაგრამ ეს შექმნის დადებით კლიმატს ორი ქვეყნის ურთიერთობისთვის“.

მაგრამ საქართველოს მთავრობა და ხელისუფლება იმედს გამოთქვამს, რომ ვიზების გაუქმება საქართველოსა და ირანს შორის მნიშვნელოვნად გაზრდის ირანელი ტურისტების ნაკადს. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ირანელი ტურისტების რაოდენობა, რომლებიც შარშან იყვნენ საქართველოში, გაიზარდა დაახლოებით 117 პროცენტით.




ნინო გიორგობიანის სიტყვებით, რომელიც ავიაკომპანია „აირზენა-ჯორჯიან ეირვეისის“ პრესმდივანია, ტურისტების ოდენობის გაზრდა შესაძლებელი გახდა თბილისი-თეირანის რეგულარული ფრენების განახლებით 2010 წლის 2 ნოემბრიდან. გიორგობიანმა გვაცნობა, რომ რეისები ხორციელდება კვირაში ორჯერ.

ირანში საქართველოს ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ განაცხადა, რომ ვიზების გაუქმება ხელს უწყობს ასევე საინვესტიციო პოტენციალის გაზრდას საქართველოში და ეს დაეხმარება ბიზნესმენებს. მისი სიტყვებით, 2010 წელს ირანელმა ინვესტორებმა საქართველოს ეკონომიკაში დააბანდეს დაახლოებით მილიონი დოლარი, საქონელბრუნვამ კი ორ სახელმწიფოს შორის 67 მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა.

მაგრამ გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარის თენგიზ ფხალაძის აზრით, საქართველო უნდა იყოს უკიდურესად ფრთხილი ირანთან ურთიერთობაში, და სავიზო რეჟიმის გაუქმება, გარდა მოგებისა, შეიცავს მნიშვნელოვან რისკებსაც.

იმ დროს, როდესაც მთავრობა ელოდება ინვესტიციებს და ტურისტებს ირანიდან, ზოგიერთ ექსპერტს თბილისში ეშინია, რომ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი დათბობა ირანსა და საქართველოს შორის შეიძლება ნეგატიურად აისახოს საქართველოს ურთიერთობებზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

მაგრამ გიორგი ჯანჯღავას სიტყვებით, ასეთი საფრთხე არ არსებობს.

საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი ამბობს, რომ ირან-საქართველოს ურთიერთობის განვითარებით მოიგებს ორივე მხარე, ვაშინგტონში კი საქართველოს სურვილს, ჰქონდეს ნორმალური კავშირურთიერთობანი ირანთან, როგორც ჩანს, მშვიდად ეკიდებიან.

BBC RUSSIAN.com

# სააკაშვილი ქართული დიპლომატიის წარმატებად მიიჩნევს...

**სამშაბათს საქართველოს საინფორმაციო რეჟიმში ამუშავდა რუსულენოვანი ტელეარხი „პირველი კავკასიური საინფორმაციო“. ოფიციალურ სტარტად შეიძლება ჩაითვალოს პროექტი „პრეზიდენტი უპასუხებს“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფოს მეთაურმა მიხეილ სააკაშვილმა. მას მისცეს დაახლოებით 20 ათასი შეკითხვა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან. მან ყველა შეკითხვას არ უპასუხა, მაგრამ თემატიკის მიხედვით შეეცადა მაქსიმალურად მოეცვა ყველაფერი.**

ვერ მიიღეს მიხეილ სააკაშვილის პასუხები მისმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა „ახალი მემარჯვენეებიდან“, რომლებსაც აინტერესებდათ საკითხი, თუ როგორ შეესაბამება ერთმანეთს ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ხარჯების ეკონომია ხმებს სახელმწიფო მეთაურის მიერ საპრეზიდენტო სარგებლობისთვის თანამედროვე „ბოინგის“ შესყიდვის შესახებ. ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა „მემარჯვენეების“ მეორე შეკითხვაც საერთაშორისო ვალის გაზრდის ტენდენციის შესახებ – ერთი მილიარდი დოლარიდან „ვარდების რევოლუციამდე“ 6 მილიარდ დოლარამდე ამჟამად. საპარლამენტო „თავისუფალმა დემოკრატებმა“ თავიანთ ხუთ შეკითხვაში, ფაქტობრივად, შეახსენეს პრეზიდენტს მონაცემების შესახებ, რომლებიც არ შესრულდა ან შესრულდა ნაწილობრივ. ასე რომ, ამ შეკითხვებზე მათ მხოლოდ ნაწილობრივ მიიღეს პასუხები. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი კი ნაწყენი დარჩა თავის ერთადერთი შეკითხვის გამო: „როდის გადადგება სააკაშვილი?“ – რის შემდეგაც მოაწყო მორიგი „გამომაამჟღავნებელი პრესკონფერენცია“.

სააკაშვილმა თავი შეიკავა აგრეთვე განმარტებისგან თემაზე: იმუშავებს თუ არა იგი პრემიერ-მინისტრად 2012 წელს საპარლამენტო უფლებამოსილებათა გასვლის შემდეგ – იმ დროისთვის ძალაში შედის კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომლის თანახმადაც მთავრობის მეთაურის ფიგურა წამყვანი გახდება ქვეყანაში. თუმცა, პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა მოგვიანებით დაგვარწმუნა, რომ სააკაშვილი აუცილებლად უპასუხებს ყველა შემოსულ საკითხზე, შეიძლება, სხვა ფორმით. ასე თუ ისე, საუბარი მოსახლეობასთან სამშაბათს გადაიქცა საპრეზიდენტო ანგარიშგებად საქართველოს პროგრესის შესახებ, რომელიც მიღწეულია უკანასკნელი წლების განმავლობაში. სამუდამოდ ლიკვიდირებულია ენერგოკრიზისი. არმია გახდა არმია, არ გეგონოთ გასული წლები, როდესაც დაძონძილების ნაკრებს მოგვაგონებდა და შიმშილობდნენ. პენსიები და ხელფასები გაიზარდა და კვლავაც გაიზრდება. გარემონტდა გზები და სხვა ინფრასტრუქტურა. ხერხემალში გადატყდა კორუფცია. აღმოფხვრილია თანამედროვე მსოფლიოში გაბატონებული კანონიერი ქურდების ინსტიტუტი. პოლიცია გახდა ქვეყნის სიამაყე და ნიმუში სხვა ქვეყნებისთვის. დიდი სისწრაფით ვითარდება საზაფხულო ტურიზმი – მეზობლები თურქეთის შავი ზღვის კურორტებზე წინ საქართველოს კურორტებს აყენებენ. ახლა საქმე საზამთრო ტურიზმს შეეხება – მადლობა ღმერთს, სვანეთში თოვლია, სააკაშვილის სიტყვებით, განსაკუთრებული, ეკოლოგიურად სუფთა, რაც დაადასტურეს ამერიკელებმა ნიმუშების შემოწმების შემდეგ.

პრობლემად ნომერი ერთი რჩება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. „სანამ საქართველოში არის თუნდაც ერთი ლტოლვილი, არ შემიძლია მშვიდად ძილი, – აღიარა სააკაშვილმა. – აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი ჩვენი მიწებია და სანამ იქ ვერ შეძლებენ დაბრუნებას ლტოლვილები, ვერ მოვისვენებ“.

ბუნებრივია, დაკარგულ ტერიტორიებს პრეზიდენტმა „ოკუპირებული“ უწოდა და შეგვახსენა, რომ ეს ტერმინი პოულობს გავრცელებას საერთაშორისო დონეზე, რაც ქართული დიპლომატიის უდავოდ დიდი წარმატებაა. ამავე დროს იგი გაღიზიანებით საუბრობდა კულტურის იმ მოღვაწეებისა და პოლიტიკოსების შესახებ, რომლებიც ჩადიან რუსეთში და იბრძვიან კარგი ურთიერთობისთვის.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# ჟან-მიშელ აფასი საფრანგეთის ხელისუფლებას რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიდვის გამო მკაცრად აკრიტიკებს

**„გუშინ „მისტრალის“ რუსეთისთვის მიყიდვის საკითხზე საფრანგეთში აქტიური კომენტარები არ გაკეთებულა. არადა, ასეთი კარგი ამბავი ჩვენთან 1515 წლიდან - იმ დროიდან აღარ მომხდარა, რაც საფრანგეთის არმიამ მარინიანოს ბრძოლაში გაიმარჯვა.**

ეს განსაკუთრებით სასიხარულო ამბავია „ატლანტიკის“ გემთსაშენის მუშებისთვის, რომელთაც უმუშევრობის პრობლემის დაძლევის იმედი აღარ ჰქონდათ. ასევე კარგი ამბავია ქალაქ სენ-ნაზერის ადმინისტრაციისთვის, რომელმაც უკვე აღარ იცოდა, რომელი წმინდანისთვის ელოცა. მოვახერხეთ და რუსებს ორი „მისტრალი“ „შევტენეთ“. საფრანგეთი, ფრანგული მრეწველობა, ფრანგული ტექნოლოგიები.... ექსპერტებისგან განსხვავებით, პრეზიდენტმა ამის შესახებ საკმაოდ ბევრი ისაუბრა. ასევე ბევრს საუბრობს იგი ჩვენს დემოკრატიულ საფუძვლებზე და საფრანგეთის სახელით იმედს გამოთქვამს, რომ ახლა სწორედ დემოკრატიული საფუძვლები განსაზღვრავს ტუნისელი ხალხის ცხოვრებას. ვსვამთ კი ამ ფონზე კითხვას, ვინ ყიდულობს ამ სადესანტო გემებს და რა მიზნით?!“ - აცხადებს ფრანგი ექსპერტი „RTL Radio France“-სთან საუბრისას.

აფასს ამ საკითხზე საქართველოს ხელისუფლების პოზიციაც მოჰყავს.

„რამდენიმე კვირის წინათ საქართველოს ხელისუფლებამ ამ საქმესთან დაკავშირებით განგაში ატეხა და განმარტა, რომ შესაბამისი შეიარაღებით აღჭურვის შემთხვევაში ეს გემები გაამყარებენ რუსეთის სამხედრო წარმატებას იმ საბრძოლო მოქმედებებში, რომელიც მან, შესაძლოა, დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილის გამოხატვის თავხედობის მქონე საქართველოს მიმართ აწარმოოს. რეალურად არსებობს თუ არა ეს საფრთხე? მიიღო კი ფრანგულმა მხარემ ამასთან დაკავშირებით რაიმე სახის გარანტიები და საერთოდ, რამდენად შეიძლება, ენდო რუსული მხარის გარანტიებს, რომელიც არც კი მალავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს და ქართველ ხალხს შურისძიება არ ასცდება?! დღეს ჩვენ „ფრანგული მრეწველობის გამარჯვებას“ ვზეიმობთ, ხვალ კი „ადამიანის უფლებების დაცვას“ დავიწყებთ და ამ კონტექსტში, მაგალითად, ხალხების თვითგამორკვევის უფლებაზე ავლაპარაკდებით.... მოკლედ, ყოველდღე ახალი მიზანი გვაქვს. იცით, რა მოხდება წინააღმდეგ შემთხვევაში? რუსეთს შეიარაღებას სხვა ქვეყანა მიჰყიდის, რათა მან უახლოეს მომავალში სხვა ერები დაიპყროს. „თქვენ ეს გსურთ? თქვენ რა, გსურთ, მხარი დაუჭიროთ უმუშევრობას საფრანგეთში? გაიწიეთ და გზა მცოდნე ხალხს დაუთმეთო“, – გვეუბნებიან. აი, ეს არის ის ერთადერთი ორი მცნება, რომელიც ნებისმიერ განედზე დემოკრატიის თმენის საშუალებას გვაძლევს“, – ასკვნის ფრანგი ექსპერტი.

შეგახსენებთ, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შორის „მისტრალის“ მიყიდვის შესახებ ხელშეკრულებას 26 იანვარს საფრანგეთის ქალაქ სენ-ნაზერში მოეწერა ხელი. „მისტრალი“ უნივერსალური სადესანტო გემია, რომელსაც მრავალი სხვადასხვა ფუნქცია აქვს. მისი ცურვის სიშორე 20 ათასი მილი/32 ათასი კილომეტრია, სრული სვლის სიჩქარე – 18 კვანძი. გემს ბორტზე 450-დან 900-მდე კაციანი დესანტის მიღება შეუძლია და 4 სადესანტო კატერით არის აღჭურვილი, მის ბაქანზე კი 40 ტანკი ან 70 ავტომობილი ეტევა. გემი განკუთვნილია 16 მძიმე ან 350 მსუბუქი შვეულმფრენისთვის, სახმელეთო ტექნიკისთვის, სადესანტო კატერებისთვის და 450-დან 900-მდე ჯარისკაცისთვის.

„პირველი“

## დედამიწის ზურგზე



**ნაზარბაევმა განაცხადა, რომ ყაზახეთის ხალხს სურს, იხილოს იგი პრეზიდენტად, რაც შეიძლება დიდხანს**

ყაზახეთის ლიდერს შეუძლია გაამართლოს ხალხის ოცნებები. როგორც ნაზარბაევმა აღნიშნა, რეფერენდუმის მხარდასაჭერად პრეზიდენტის უფლებამოსილებათა გაზრდის შესახებ 2020 წლამდე შემოვიდა ხუთ მილიონზე მეტი ხელმოწერა – ქვეყნის ელექტორატის დაახლოებით ორი მესამედი. „მე გავიგე ახლა ხალხის სიგნალი – არ დავტოვო პოსტი, გავაგრძელო კვლავაც მუშაობა“, – ხაზგასმით აღნიშნა ნაზარბაევმა.

* * *

**ჩინეთში გვპირდებიან, რომ არ შექმნიან ქალაქს 42-მილიონიანი მოსახლეობით**



გაირკვა, რომ იგეგმება არა ცხრა ქალაქის ადმინისტრაციული შერწყმა ჩინეთის სამხრეთში მდინარე ჩუძიანის დელტაში, არამედ მხოლოდ ამ დასახლებული პუნქტების ეკონომიკური ინტეგრაცია. საკითხი შეეხება მთელი რიგი პროექტების რეალიზაციას ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ენერგეტიკისა და სხვა დარგების სფეროში.

* * *

**ეგვიპტის ხელისუფლებამ რევოლუციის შიშით, ხალხს ინტერნეტი გამოურთო**

ინტერნეტი არის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება მასობრივი საპროტესტო აქციების მონაწილეთა მოქმედების კოორდინაციისთვის, რომლებიც მოითხოვენ ქვეყნის პრეზიდენტის ხოსნი მუბარაკის გადადგომას. ამას მათ შთააგონებს ტუნისის მაგალითი, სადაც პრეზიდენტი გადააყენეს და იგი ქვეყნიდან გაიქცა.



* * *

**ინდონეზიაში ცეცხლი გაუჩნდა ბორანს და ერთმანეთს ორი მატარებელი შეეჯახა: დაიღუპა 20 კაცი, ათობით დაჭრილია**

ინდონეზიის კუნძულ იავის დასავლეთ ნაწილთან ცეცხლი გაუჩნდა ბორანს, თავად კუნძულზე კი ერთმანეთს ორი სამგზავრო მატარებელი შეეჯახა. ხანძრის შედეგად ბორანზე დაღუპულია 17 კაცი, კიდევ 30 კაცი ევაკუირებულია დამწვრობით. სარკინიგზო კატასტროფაში ამ დღეს დაიღუპა 5 კაცი, რამდენიმე ათეული დაიჭრა.





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №176

# მამა ვლადიმერის ცხოვრების ოდისეა



მე რომ დავიბადე, ბაბუა დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბაბუამ აღმზარდა. შეიძლება ბავშვობაში უკეთ გრძნობ და უფრო ცოცხლად აღიქვამ იმას, რასაც ადამიანი ამქვეყნად ტოვებს, რაშიც თავისი სული და გული ჩადო, რაც მის შემდეგაც განაგრძობს ქმედით სიცოცხლეს.

არგვეთი... ჩემს თვალწინ ცოცხლდება იმერული სოფლის ეზო, წაბლის ხით მოპირკეთებული დიდი სახლი ორნამენტებიანი სვეტებითა და ხის რიკულებით დამშვენებული უშველებელი აივნით. თითქოს ხის სახლი ცოცხლობს, სუნთქავს და ირგვლივ წარუშლელ მოგონებათა სურნელს აფრქვევს. ბაბუაც აქაა - ხის სახლის ყოველ ამოსუნთქვაში, მერცხლების ჭიკჭიკში, ხეხილის ბაღის შრიალში; კაბინეტში ძველებურ საწერ მაგიდაზე შემორჩენილ, ძველი ქართული, სლავური თუ ლათინური შრიფტით შესრულებულ წიგნებსა და ხატების იდუმალ გამოხედვაში; ადამიანთა გულებში დაბუდებულ სიყვარულითა და მადლიერებით სავსე მოგონებებში. შვილიშვილებიც არამარტო ვგრძნობთ, იმ მადლსა და სიყვარულში ვიზრდებით, ჩვენს გარშემო ჰაერივით და მზესავით რომ სუფევს.

აივანი, გრძელი შუშაბანდი და დიდი „ზალა“ მერცხლის ბუდეებითაა სავსე. გარიჟრაჟიდან მზის ჩასვლამდე ისმის ბარტყების ჟივჟივი. მერცხლები თავისუფლად დასრიალებენ მაღალჭერიან, ნათელ სახლში და სულაც არ უფრთხიან მობინადრეებს. აივნის წინ ვარდის, იასამნისა და ტუხტის ბუჩქებია. ბალახში ჩაკარგული ბილიკი პატარა ბექობისკენ მიემართება. ამხელა ეზოში მხოლოდ აქ, და სხვაგან არსად, შემოგცინებენ მარჯნის მძივებივით მიმობნეული, ერთი ციდა საპოვნელები.

ღამღამობით საპოვნელებივით ერთი ციდა ციცინათელები ციმციმებენ ხეების ჩამუქებულ ფოთლებსა და თხილის აქოჩრილ ბუჩქებში.

არგვეთის ჯადოსნური, მთვარიანი ღამეები... ცხადად ვხედავ,როგორ ჩამოუდევს თავი ბადრ მთვარეს აივანთან დარგულ მსხლის ტოტზე. ირგვლივ ყველაფერი თეთრად ქათქათებს. არგვეთს, როგორც ყოველთვის, ბევრი სტუმარი ჰყავს. ასეთ ღამეებში არავის ძინავს:

ცაზე ვერცხლის მერცხლები სხედან, ლურჯ ბუდეებში მთვარე ცივად ეცემა შქერის ტყეში გამართულ ტოტების ბადეებში...

როგორ შეიძლება მთვარიან ღამეს პაოლოს „არგვეთის ღამე“ არ გაგახსენდეს!

მთვარით გაკვალულ შარაგზაზე ახალგაზრდები სეირნობენ. სიცილი, გიტარის ხმა და წყნარი, იმერული სიმღერა ისმის.

ანაზდად ვიოლინოს ხმა აყვება ვერცხლისფრად მოცახცახე სხივებს.

იაშვილები ჩამოსულანო, – სხვათა შორის იტყვის ვიღაც...

წლების მანძილზე არგვეთის ზღაპარს ახალ-ახალი შტრიხები ემატება. ხან მამა ყვება, ხან მამიდები, ხანაც სრულიად უცხო ადამიანები. ხან სუფრაზე დალევენ წასულთა მოსაგონარს. დრო თავის ძალას კარგავს და მარადისობის გაუხუნარი ფერებით ცოცხლდებიან გარდასული დღეები...

– არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ახალგაზრდა მღვდელი, **ვლადიმერ აბრამიშვილი** ატარებს წირვას. მისი ძლიერი ხმა სასოებად იღვრება მრევლში. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ 3 წელი ქუთაისის სკოლებში მასწავლებლობდა და იმასაც ამბობენ, რომ საზღვარგარეთ აპირებდა სწავლის გაგრძელებას.

– ჰოდა, დაიბარა გაბრიელ ეპისკოპოსმა და უთხრა, - მამაჩემი ცალ წარბს ზემოთ აზიდავს და საზეიმო იერს იღებს – შენ უნდა დარჩე, ეკურთხო მღვდლად და განათლება შეიტანო სოფლებში. ასეა საჭირო!..

და მანაც იტვირთა. მერე ხშირად ხედავენ წარმოსადეგ, სანდომიანი გარეგნობის მღვდელს ხან პერევში, ხან არგვეთის ხოდაბუნებზე, ხან ქუთაისსა და საჩხერეში. გულისხმიერი, უაღრესად განათლებული,რუსული, ლათინური და ფრანგული ენების კარგი მცოდნე, იმერეთის მაშინდელ საზოგადოებასა და მრევლში დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თითოეული ოჯახის ყოფა-ცხოვრებას, ჯანმრთელობას. იწერს სამკურნალო წიგნებს და ცდილობს ჯანსაღი ცხოვრების წესი დანერგოს სოფელში. მათთანაა ჭირსა და ლხინში. მისი იმედი აქვთ. საღამოს მთელი სოფელი რომ მიიძინებს, მამა ვლადიმერი დიდხანს ფხიზლობს, ვაითუ, ვინმეს დავჭირდეო. შეკაზმული ცხენიც მორჩილად ელის. ყველგან ისმის მისი ომახიანი, იმედიანი ხმა.

მამა ვლადიმერი დაუღალავად იღვწის განათლებისთვის. 1893 წელს,მისი თაოსნობითა და გაბრიელ ეპისკოპოსის კურთხევით, დაარსდება საჩხერის პირველ სამრევლო სკოლა, სადაც თავად ასწავლის ქართულ ენასა და საღმრთო სჯულს. შემდეგ სოფელ არგვეთში, საკუთარ სახლში ხსნის ორკლასიან სამრევლო სკოლას. მისი მეუღლე, თაფლო კურცხალია და მრავალრიცხოვანი ოჯახი გვერდში უდგას. საჩხერიდან მამის თხოვნით საგანგებოდ გადმოდიან მასწავლებლად მისი ქალიშვილები – ლუბა და ვერა, განათლების დარგში გაწეული დამსახურებისთვის 1902 წელს აჯილდოებენ კამილავკით. 1907 წელს დაუღალავი მღვდელი ბევრისთვის უცნაურ ნაბიჯს დგამს. არგვეთში მისი ძალისხმევით შენდება ორგანყოფილებიანი საერო სკოლა და ამ მხარეში პირველი სამკითხველო. სამკითხველოსთვის საინტერესო და მრავალფეროვან ლიტერატურას თავად იწერს პეტერბურგიდან.

სასულიერო და საერო პირთაგან ბევრი სათანადოდ ვერ აფასებს საერო სკოლის აუცილებლობას და უკმაყოფილოა: – როგორ გაბედა სასულიერო პირმა საერო სკოლის გახსნა? უჩივიან იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდესთან. საბედნიეროდ, გაბრიელ ეპისკოპოსის მსგავსად, ეპისკოპოს ლეონიდესაც კარგად აქვს გაცნობიერებული განათლებისა და კერძოდ, საერო სკოლის მნიშვნელობა და საყვედურის ნაცვლად ყოველგვარ შემწეობას ჰპირდება ამ საქმეში... უფრო მეტიც, 1908წ. აღდგომას მამა ვლადიმერს გაწეული ღვაწლისთვის ოქროს ჯვრით აჯილდოებენ.1909 წელს კი არგვეთის ორწლიანი სასწავლებელი შვიდწლიან სკოლად გადაკეთდება. 1912 წელს მამა ვლადიმერს საჩხერის ოლქის მთავარუხუცესად ნიშნავენ და 1914წ. აჯილდოებენ წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენითა და დეკანოზის წოდებით. ხალხის სამსახურში გადის წლები. გასაკეთებელი და საზრუნავი ბევრია, მაგრამ მოდის საბედისწერო 1921 წელი. არბევენ ეკლესიებს, სამრევლო სკოლებს. ხალხის სამსახურში გაჭაღარავებული დეკანოზი შავ სიაში შეყავთ და ხალხის მტრად აცხადებენ.თუმცა, კეთილი ნერგი მძლავრ ხედ ქცეულა და უხვი ნაყოფი გამოუღია...

ვლადიმერ აბრამიშვილის მოწაფეები არამარტო ნასწავლნი, განათლებულნი ბრუნდებიან საქართველოში პეტერბურგიდან, პარიზიდან, ტარტუდან და მასწავლებლისა და მოძღვარის საქმეს აგრძელებენ, არც არგვეთს ივიწყებენ. შვიდკლასიანი სასწავლებელი აღარ ჰყოფნის სწავლამოწყურებულ სოფელს. საშუალო სკოლის გახსნაა საჭირო. ამას უკვე პაოლო იაშვილი მოთავეობს და 1934 წლის პირველ სექტემბერს ირეკება არგვეთის საშუალო სკოლის ზარი.

თითქოს ღვთის წყალობა დააბერტყეს არგვეთს. მეცნიერებისა და ხელოვნების სული უწყვეტ ნაკადად მოედინება, გადაეცემა თაობიდან თაობას: **პაოლო იაშვილი, ლუარსაბ იაშვილის** ქალიშვილები: **მარინე, ირინე, ნანა იაშვილები. მუხრან მაჭავარიანი, მედეა ჯაფარიძე, ფილიპე ბერიძე, მიხეილ აბრამიშვილი, მარი აბრამიშვილი, რუსუდან ფეტვიაშვილი...**

არგვეთში კი ისევ ისეთი მთვარიანი ღამეებია – ცაზე ვერცხლის მერცხლები სხედან ლურჯ ბუდეებში, მთვარე ცივად ეცემა შქერის ტყეში გამართულ ტოტების ბადეებში...

**ქეთევან აბრამიშვილი.**

***შენიშვნა: 2011 წელს საჩხერის გამგეობასა და კულტურის სახლს განზრახული აქვს ვლადიმერ აბრამიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამოს ჩატარება, რის შესახებაც ჩვენი გაზეთითაც შეიტყობთ.***



# ჩალისფერი აგონია

**მე-20 საუკუნის სამოცდაათიანი წლები...**

**მწერლობა განიხილება, როგორც დიდი საბჭოეთის ერთ-ერთი უძლიერესი იარაღი.**

**ყოველი პოეტი და ყოველი მწერალი KГБ-ს ლუპის ქვეშ ბაქტერიასავით მოჩანს, რომლის განა**




**მხოლოდ კაპილარები, ფიქრებიცა და არსიც გაშიშვლებულია...**

**კონიუნქტურა, ყალბი და მაჟორული აზრები...**

**შერმადინ ქალდანი უნივერსიტეტის სტუდენტია. ტოლ-მეგობრებისადმი დიდი სიყვარულის მიუხედავად, „მარტოსული დაიარება“.**

**დადის და თითქოს, თავის მარტოობას უმღერის.**

**განგებით ტიციან ტაბიძეს ორეულივით ჰგავს...**

**ისეთივე ცისფერი თვალები, ისეთივე ვარცხნილობა თმისა, მოძრაობაც კი მსგავსი და სწორი.**

**და ყველაზე მეტად გამაოგნებელი და ჟრჟოლადამკვრელი ისაა, რომ ამ ყველაფერთან ერთად, ლექსებს წერს, იმ დროისთვის მეტად უჩვეულოს და ძარღვიანს.**

**სიტყვაძუნწია, რადგან დუმს იმაზე, რასაც ღრმად განიცდის. ზოგჯერ დუმილის აღთქმასაც არღვევს. არღვევს და მის გვერდით მდგომი გრძნობს, რომ ამ კაცს სიტყვა პირზე კი არა, გულზე აკერია.**

***„დავხურავ წიგნს და საქართველოს კვლავაც არზევენ,***
***მზე ჩასულა და მე მზეს ველოდი...***
***რამდენის სისხლიც შეხმობიათ ციხის ნანგრევებს,***
***იმდენი ძეგლი მინდა იდგეს საქართველოში!“***

**1979 წელს ჟურნალ „ცისკრის“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა შერმადინის უბრწყინვალესი ლექსები. როცა მწერალთა კავშირში ამ ნომრის განხილვა იყო, გამომსვლელთაგან არავის გახსენებია ეს ლირიკული ქმნილებანი.**

**სამაგიეროდ, ძალ-ღონე არ დაუშურებიათ ხოტბა შეესხათ უნიჭოთათვის...**

**როცა უახლოეს მეგობარზე ვწერ, ასე მგონია, ცასა და მიწას ვაზარებ აღსარებას.**

**ქართველ მკითხველს კვლავაც ენატრება და აწვალებს ის ჩალისფერი, რაიც საქართველოს თავისუფლებისა და მზისკენ სვლის ფერია.**

**ამ წიგნში ძველ ლექსებთან ერთად ახალ ლექსებსაც შეხვდებით, რომლებიც უკვე ჩვენი დროის ტკივილითაა გაჯერებული.**

➡

# როგორ დგება „განთიადი“

***ჩვენ დავინტერესდით, რა არის ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ ამ პროგრამაში მიწვევაზე არც ერთი რესპონდენტი უარს არ ამბობს მაშინ, როცა ქართულ სატელევიზიო სივრცეში არსებული გადაცემების რეიტინგები თანდათან ეცემა.***

***თუ რაოდენ დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს დილაობით აკრეფილ განწყობილებას, ყველასთვის ცხადია და ამის საილუსტრაციოდ სპეციალური ლიტერატურის მოხმობა საჭირო არ გახლავთ.***

***ვფიქრობთ, დილის პროგრამების მესვეურთ გარდა პროფესიონალიზმისა, განსაკუთრებული ტაქტი, ალღო და მაყურებელთან ცოცხალი ურთიერთობის გამორჩეული, ნიუანსური უნარი უნდა ჰქონდეთ და ალბათ,რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კეთილგანწყობა...***

***კეთილგანწყობა, კეთილმოსურნეობა და არა მხოლოდ სახეზე აღბეჭდილი ღიმილი, ვფიქრობთ, არის საპატრიარქოს ტელევიზიის დილის პროგრამა „განთიადის“ სავიზიტო ბარათი.***







საქართველოს ტელევიზიების უმეტესობა მაუწყებლობას დილის პროგრამით იწყებს.

როგორც წესი, დილის პროგრამები,მსოფლიოს ტელეარხებზე, რაღაცით ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ სწორედ ამ ერთგვაროვაშია მოსაძიებელი განსხვავებულობა და საკუთარი სტილი.

**„ერთსულოვნების“** დილის გადაცემის **„განთიადის“** სტილს უპირველესად,მისი თემატური დანიშნულება ქმნის და ის, რომ საპატრიარქოს ტელევიზიაა და განსაკუთრებული მისია აკისრია. „განთიადი“, ადამიანს საშუალებას აძლევს დილა არა მხოლოდ პოზიტიურად დაიწყოს, არამედ ეკრანიდან მოდის სულიერი ენერგია. გადაცემა გაჯერებულია საინტერესო თემებით და გათვლილია საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის.



ჩვენ დავინტერესდით გადაცემა „განთიადის“ შიდა სამზარეულოთი და გავესაუბრეთ გადაცემის ხელმძღვანელს ქალბატონ **ელენე აბულაძეს.** მისი თქმით, გადაცემის ფორმატი განსაზღვრულია იმისთვის რომ კარგი განწყობა შეუქმნას ადამიანებს, ვინც მათი ეთერით იწყებს დილას...

გადაცემა მოიცავს სხვადასხვა სფეროს. აქვთ სიუჟეტები: რელიგიაზე,ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, სპორტზე...



სიუჟეტების გარდა, სტუდიაში იწვევენ ორ ან სამ სტუმარს.

ყოველდღე, როგორც წესი, მობრძანდება მოძღვარი. მნიშვნელოვანია, რომ დღეს ქართულ საზოგადოებას ძალიან აინტერესებს სასულიერო პირების კომენტარები და რჩევები...

„განთიადის“ შემოქმედებითი სამზარეულოს ერთ-ერთი საიდუმლო ისაა, რომ თემებს არჩევენ არა სპონტანურად, არამედ მაყურებლის ცოცხალი ინტერესებიდან გამომდინარე ანუ სერიოზულად იკვლევენ, რა სურს მაყურებელს.

მაგალითად, ყოველ ორშაბათს სტუდიაში სტუმრად ჰყავთ ექიმი, რომელიც საუბრობს სხვადასხვა დაავადებაზე და მაყურებელს ურჩევს, როგორ გაუმკლავდეს ამა თუ იმ ავადმყოფობას..

პროგრამის ხანგრძლივობა არის საათნახევარი, რის მომზადებასა თუ შექმნაში ჩართულია მთელი შემოქმედებითი ჯგუფი: პროგრამის ხელმძღვანელი, პროდიუსერი, რედაქტორი,ჟურნალისტები და რეჟისორი, რომლებიც ერთობლივად არჩევენ თემატიკას და გეგმავენ გადაცემას. რაც შეეხება სტუმრებს, ისინი ყოველთვის, სიამოვნებით თანხმდებიან ეთერში მოსვლაზე და არ ყოფილა შემთხვევა, რომ რესპონდენტს უარი ეთქვას...

გადაცემა „განთიადის“ წამყვანები არიან:**გიორგი მერაბაშვილი,სოფო კუჭავა** და თავად გადაცემის ხელმძღვანელი **ელენე აბულაძე,**რომელსაც ამჟამად ცვლის სტაჟიორი ნინო ბარამაძე. წამყვანები შეირჩნენ კასტინგის მიხედვით.

გადაცემის მუსიკალური პროდიუსერის ქალბატონ **ია საკანდელიძის** განმარტებით, ტელევიზია „ერთსულოვნება“ თვისობრივად სრულიად განსხვავებულია, თავისებური სტილისაა და განსაკუთრებული მოწოდება აკისრია.

მისი პრიორიტეტები, მუსიკალური განხრით, არის საგალობლები, ხალხური და კლასიკური მუსიკა. სწორედ ამ პრინციპით არჩევენ ნომრებს დილის გადაცემისთვის. ძირითადი აქცენტი კეთდება ქართულ მუსიკაზე.

დილის პროგრამაში ცდილობენ სასიამოვნო განწყობის შესაქმნელი, მსუბუქი მუსიკა გაუშვან ეთერში, შეიძლება იყოს ლირიულიც... მაგრამ არის გადაცემები, რომლებისთვისაც მუსიკის შერჩევა სპეციალურადაა საჭირო. სამწუხაროდ,დღეს საქართველოში ხალხური მუსიკა ნაკლებად იქმნება, რის გამოც ხშირად უწევთ ერთი და იმავე მუსიკის გამოყენება, მაგრამ ეს ნამდვილად არ უშლით ხელს გემოვნებიანი გადაცემის შექმნაში.

პროგრამის კონსულტანტის, დეკანოზ **ზურაბ მჭედლიშვილის** თქმით, მათი ტელევიზია ძირითადად არის საეკლესიო, მაგრამ ყველაფერში, რაშიც მაღალი სულიერება მჟღავნდება, „ერთსულოვნების“ ეკრანზე ადგილს იმკვიდრებს. მათი მიზანია წინ წამოწიონ ქართული ხალხური მუსიკა, პოეზია, ხელოვნება და ისტორია, რადგან სასურველია დღეს საქართველოში ამ მხრივ უფრო მეტი კეთდებოდეს.

– ჩვენ გვსურს ეს ყველაფერი უფრო აქტუალური გახდეს ქართული საზოგადოებისთვის – ბრძანებს მამა ზურაბი, – რადგან ახალგაზრდებმა იცოდნენ რა ჰქონდათ, რა შემორჩათ და რა კეთდება ამ კუთხით დღეს..

ჩვენ ასევე გავესაუბრეთ გადაცემის რეჟისორს ბატონ **ლევან ქიქავას.**

ის ამბობს რომ, სირთულეები რეჟისურაში ყველგან ერთნაირია, მაგრამ განსხვავდება ოპერატიულობით, ფორმატით. დილის გადაცემას განსხავვებული ხედვა სჭირდება. წინა დღით იკრიბება შემოქმედებითი გუნდი, განიხილავენ გადაცემის ფორმატსა და შინაარსს.არჩევენ ამა თუ იმ სიუჟეტისთვის რომელი კადრი იქნება უფრო ეფექტური, თუმცა, ჰქონიათ შემთხვევებიც, როდესაც წინასწარ ჩაფიქრებული გეგმისთვის გადაუხვევიათ, რადგან შინაარსს არ შეესაბამებოდა ის კადრი, რაც წინასწარ იყო ჩაფიქრებული. ასევე აქვთ ისეთი გადაცემები, სადაც საჭიროა ჩაჭრები და ამისთვის ხშირად გამოუყენებიათ ფოტოები. დღეისთვის ფოტოების მოძიების მრავალი გზა არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა ინტერნეტი, რასაც ხშირად მიმართავენ.

– დილის გადაცემის გუნდისთვის ეს ყოველივე ძალიან საპასუხისმგებლოა და რთული, – ამბობს რეჟისორი – თუმცა მთელი შემოქმედებითი ჯგუფი სიამოვნებით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

* * *

იმ ჭეშმარიტებაში, რომ ამქვეყნად არაფერია ბოლომდე იდეალური, „განთიადის“ საეთერო სტუდიის ტექნიკური აღჭურვილობის და დიზაინის ნახვისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდით.

თუკი ევროპისა და ამერიკის, განსაკუთრებით, იტალიის, ინგლისისა და საფრანგეთის დილის პროგრამებს შევხედავთ, უპირველესად თვალში გვეცემა დიდი სივრცე, მასშტაბურობა, განათება და სხვა მრავალი ტექნიკური ნოვაცია. ერთმანეთს უკავშირდება ახალი ხედვა და სატელევიზიო დარგის განვითარების საუკეთესო ტრადიციები.

სტუდიის გადაიარაღება და ახალი დიზაინი, რა თქმა უნდა, სოლიდურ თანხებს გულისხმობს, მაგრამ ვფიქრობთ, საბოლოოდ ყველაფერს ეშველება... ამ ტელევიზიაში სამომავლო იმედებითაც არიან ერთსულოვანნი.

* * *

ზემოთ ვახსენეთ, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ელენე აბულაძე, როგორც წამყვანი, სხვამ შეცვალა. მიზეზი საპატიოა და საგულისხმო – იგი ახალშობილი **პატარა ნინოს** დედა გახდა.

ძნელია თქმა, როგორ წარიმართება საერთოდ, ქართული ტელესივრცის მომავალი, რა დასრულდება და რა გაუძლებს დროს, მაგრამ ხვალინდელი დღე, რომელსაც სულიერება აუცილებლად უნდა ახლდეს, უპირველესად პატარა ნინოს თაობისთვის თენდება, ანუ პირდაპირი თუ არა პირდაპირი მნიშვნელობით დგება „განთიადი“.

**ნათია ამბროლაძე,**
**ნინო ლაბარტყავა.**

**ჩანართზე მუშაობდნენ**
**ნინო ხოფერია**
**და კახა ქორიძე**

---

**და, ალბათ, სიზმრად თუ ცხადად, დავინახავთ ბებრის ციხის იმ მეციხოვნეს, რომელიც დრო- ჟამს არ ეპუება და ხმამაღლა შეძახილით უჟამო ჟამს ჩალისფერ აგონიაში წვავს და ფერფლავს.**

**ერეკლე საღლიანი.**

* * *

*არ შედგა პოეტი! – წარმოთქვამს მავანი, –*
*მოლიტერატორო, მომწერლო კრიტიკანი.*
*არაფერია აქ შემზარავი,*
*თუ არ მომიხსენებს პოეტად ტიპიკონი.*
*ქოსა მექისეთა ჟამი დგას გორსალური,*
*ზრიალებს, წრიალებს ცბიერთა კარუსელი.*
*საქართველოში მოთოვა ნიჭმა,*
*მოდი და „ვარსკვლავთა“ ცვენას გაუძელი.*
*კამეჩის ქედი მარწუხებს არ ჰგუობს,*
*მეწამულ ღრუბლებზეც ვერ შევძელ სიარული.*
*ექვსინის პონტი კვლავ ელის „არგოებს“*
*ვინ გვიშლის ვიყოთ ჩვენც მუდამჟამ მხიარული.*
*მე ვერ გამოვდგები მსოფლიო მოენედ,*
*რადგანაც არ ვიცი „word-ებ-cartrig-ები“.*
*ისედაც ვაწუხებ ქალაქის მოედნებს,*
*პროვინციული, მძიმე ნაბიჯებით.*
*არავინ დაგვაიმედებს წარსულის ნახმლევებს*
*და არც არავინ გვიზომავს ფესვებს.*
*მეც ვერ ვაერთებ*
*გარდასულ დროის*
*ნამსხვრევებს*
*ვერც ლუდხანებში*
*დაჩეხილ ლექსებს.*
*ნუ მეპატიჟებით ლირიკის*
*პანაშვიდზე.*
*ქაჯობად ნუ ჩამითვლით*
*წარსულზე აგონიებს.*
*თქვენსავით მეც ერთი*
*ფიქრი დამამშვიდებს;*
*ღმერთო, ამ ბნელში*
*სამშობლო მაპოვნინე.*



**შერმადინ ქალდანი**
25 ნოემბერი. 2002 წ.

# გლახა ჭრიაშვილის სინდრომი

## პასუხად ფსევდოაკადემიკოს დავით მუსხელიშვილს

**ფსევდოაკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა ჩემს საწინააღმდეგოდ „ზარათუშთრა“ პირველად 2001 წელს დაბეჭდა (იხ. ჟ. „ანალები“, №2). მსგავსი წერილი, როგორც გეხსომებათ, მან გაიმეორა „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 19 იანვრის ნომერში. ვიტყვი, რომ ორივე მათგანი წარმოადგენს „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი მეთოდის“ (დიდი ივანე ჯავახიშვილი რომ ირონიულად იტყოდა) ნიმუშს. ავტორი არაფრად დაგიდევთ ობიექტურობას, თავისი ნააზრევის სინამდვილესთან შესაბამისობას, არამედ ყველაფერს უმორჩილებს თავის წინასწარულ მოსაზრებას. ასევე მოიქცა ოთხი აკადემიკოსი და ცამეტი დოქტორ-პროფესორი, რომლებმაც იკისრეს დ. მუსხელიშვილის ადვოკატობა (იხ. სტატია „სენი, რომელიც არ იკურნება“, „ლიტერატურული საქართველო“, 19-25 სექტემბერი, 2003 წელი).**

დ. მუსხელიშვილს თუ სერიოზული რამ ჰქონდა სათქმელი, უნდა ეპასუხა ჩემი სტატიებისთვის: **„ყვარყვარიზმი მეცნიერებაში“** („ლს“, 11-17 ივლისი, 2003) და **„მრუდე სარკეში, ანუ როცა პლატონი ჭეშმარიტებაზე მეტად უყვართ“** („ახალი 7 დღე“, 17-23 ოქტომბერი, 2003). მაგრამ იგი გაიტრუნა, თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს. მეტიც, მან წაუყრუა ჩემს წინადადებას: **„შეიქმნას ნეიტრალურად, ობიექტურად განწყობილი ისტორიკოსებისა და ფილოლოგებისაგან (ტექსტოლოგებისაგან) შედგენილი კომისია და ჩემი და დავით მუსხელიშვილის თანდასწრებით გამოიტანონ სათანადო ვერდიქტი. თუ გავმტყუნდები, urbi et orbi ვიტყვი უარს დოქტორის ხარისხსა და პროფესორის წოდებაზე და ერთ კრიტიკულ სიტყვასაც კი აღარ დავძრავ დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაზე. თუ მე აღმოვჩნდები მართალი, მაშინ დაპირისპირებულმა მხარემ განაცხადოს უარი ისტორიის დოქტორობასა და აკადემიკოსობაზე, გადადგეს ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან.**

**მოდით, ასე გადავწყვიტოთ საკითხი!“ (იხ. „ახალი 7 დღის“ აღნიშნული ნომერი).**

„ლიტერატურული საქართველოს“ იმჟამინდელი რედაქტორისაგან — ბატონ თამაზ წივწივაძისაგან, რომელიც მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც გახლდათ, მივიღე თანხმობა: ნოემბრის პირველ დეკადაში (იგულისხმება 2003 წელი) ამ ორგანიზაციაში გამოვიდოდი მოხსენებით „ქართული ისტორიოგრაფია დღეს“. სწორედ, იქ ვიწვევდი ჩემს ოპონენტებს და გაზეთის დაინტერესებულ მკითხველებს. მაგრამ ე.წ. ნოემბრის რევოლუციის შედეგად მსგავსი ღონისძიების მოწყობა გამოირიცხა.

დავით მუსხელიშვილმა წაუყრუა იმ გარემოებასაც, რომ გასული წლის 9 ნოემბრის ნომერში პლაგიატის ბრალდებით გამოვიდა ფილოლოგოსი მურმან თავდიშვილი. მაგრამ **„ჩვენმა გმირმა“** საქმე ისე წარმოადგინა, რომ ეს უკანასკნელი არაფერი ფილოლოგოსი არ ყოფილიყოს და თანაც რა ესაქმებოდა ისტორიასთან (ისტორიოგრაფიასთან). რა, ტექსტოლოგია ფილოლოგიის დარგი არ არის, განა ფილოლოგოსს არ ხელეწიფება სათანადო ტექსტზე დაკვირვება? აღნიშნულს ემატება ისიც, რომ პირადად მე ვყოფილვარ მურმან თავდიშვილის „პატრონი“, მაშასადამე, ის — ჩემი ყმა, ასე რომ, დავით მუსხელიშვილი პატრონყმობის კატეგორიის აზროვნებიდან ვერ გამოსულა.

გეტყვით, რომ თუ დავით მუსხელიშვილი ვინმეს გაურისხდა, მაშინვე უპირველესად მის პროფესიონალიზმში ეჭვდება. ასე მაგალითად, რაკი იგი აღაშფოთა გერმანელი ქართველოლოგოსის ოლივერ რაიზნერის მოსაზრებამ ქართული ისტორიოგრაფიის დაღმასვლაზე ივანე ჯავახიშვილის შემდგომ (შესაბამისი სტატია გამოქვეყნდა ისტორიკოსთა ძალზე სოლიდურ საერთაშორისო ჟურნალში), დავით მუსხელიშვილმა იგი **„ვიღაც არამკითხე გერმანელ მეთოდისტად“** მოიხსენია. რა უნდა გაგვიკვირდეს, რომ ვერც მე, გურამ ყორანაშვილმა, დავიმსახურე მის თვალში ისტორიკოსის სტატუსი, თუმცა დაბეჭდილი მაქვს საკმაოდ ვრცელი მონოგრაფიები და კრებულები ივანე ჯავახიშვილზე, ილიაზე (ორი), იოსებ სტალინზე, დიმიტრი ყიფიანზე, საქართველოს ისტორიის საკითხებზე (ორი), ძველი ისტორიის საკითხებზე და ა.შ. ამ თვალსაზრისით მის მონაგარს წარმოადგენს ძირითადად „საქართველო IV-VIII საუკუნეებში“ (2003 წ.). ხოლო თუ რა სამეცნიერო ავლადიდებისა გახლავთ ეს წიგნი, ამის თაობაზე მკითხველებს საკმაოდ ვრცლად მოვახსენებდი.

მოხდა ისე, რომ მე და დავით მუსხელიშვილი ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში ვმუშაობდით 33 წლის განმავლობაში. ამდენად ჩემი უშუალო დაკვირვებითა და სხვათა შეხედულებებითაც ბევრი რამ ვიცი ყოფილ კოლეგაზე, რაც არ შეესაბამება მისეულ ავტოსტერეოტიპს, მაგრამ ამ მხრივ თავს არ შეგაწყენთ და დავდუმდები. ვილაპარაკებ მხოლოდ იმაზე, რაც პლაგიატს ეხება.

რაკი საკითხის შესასწავლად სპეციალური კომისიის შექმნა ვერ მოხერხდა, გასულ წელს, რამდენიმე თვის მანძილზე, სპეციალურად შევისწავლე ერთი მხრივ ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ პირველი და მერვე წიგნები, ხოლო მეორე მხრივ დავით მუსხელიშვილის „მთავარი“ ნაშრომი. მათზე შედგენილი მაქვს კონსპექტი 13 სასწავლო რვეულის მოცულობით. გასულ წელსავე გამოვაქვეყნე აგრეთვე მოზრდილი ბროშურა (80 გვ.) „მეცნიერებაში პლაგიატის ნიმუში...“ თუ ჩვენს „აკადემიკოსს“ სერიოზული სათქმელი ჰქონდა, მას სწორედ ეს ბროშურა უნდა განეხილა.

გულზე ხელს დავიდებ და ამთავითვე ვაღიარებ: დავით მუსხელიშვილის **„საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის“** ორივე წიგნი მნიშვნელოვანწილად პლაგიატი გახლავთ ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ პირველი და მერვე ტომებისა. ფაქტები გნებავთ, ინებეთ.

დავიწყოთ საკითხისადმი — საისტორიო გეოგრაფიის საგნისა და შინაარსისადმი მიდგომით. **„ჩვენი გმირი“** წერს: **„ჩვენი აზრით, დროთა ვითარებაში ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის ცვლილებები გაპირობებულია მოცემული საზოგადოების შინაგანი მეურნეობრივი, სოციალური, ეთნიკური და, რა თქმა უნდა, პოლიტიკური განვითარებით. ეს უკანასკნელი, ისტორიული გეოგრაფიის ასპექტით, ვლინდება ტერიტორიული ცვლილებებით არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური საზღვრების თვალსაზრისით, არამედ, პირველ რიგში, სწორედ შინაგანი სტრუქტურის თვალსაზრისით. ყოველ საზოგადოებას თავისი განვითარების შესაბამისი ტერიტორიული სტრუქტურა ახასიათებს, რომელიც იცვლება საზოგადოების ევოლუციასთან ერთად და ეს ცვლილებები იმდენად ნიშანდობლივია და სპეციფიკური, რომ ჩვენ, გარკვეული აზრით, შეგვიძლია ვილაპარაკოთ დამოუკიდებელ, ისტორიულ-გეოგრაფიულ პროცესზე. ირკვევა, რომ ქვეყნის ისტორიულ გეოგრაფიული ევოლუცია ადეკვატურია საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური და ეთნიკურ-პოლიტიკური განვითარებისა. მეორე მხრივ, ეგების, არსად ისე რელიეფურად არ ვლინდება ამა თუ იმ ქვეყნის სხვადასხვა კუთხის სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის სპეციფიკურობა, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების თავისებურებებში“** (იხ. დავით მუსხელიშვილის დასახ. ნაშრომის პირველი წიგნი, გვ.3). ეს შეხედულება ხომ, უზუსტობებს თუ გამოვაკლებთ, გადმოღებულია ნიკო ბერძენიშვილის „სის“-ის პირველი წიგნიდან (იხ. გვ. 347, 348), მერვე წიგნს რომ თავი დავანებოთ.

დავით მუსხელიშვილის აღნიშნული ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოებია ენეოლითი- საქართველოს გაერთიანება ბაგრატ III-ის დროს. იგივე დროით ჩარჩოებში თავსდება ნიკო ბერძენიშვილისეული აზრების განვითარება საქართველოს საისტორიო გეოგრაფიაზე. არადა, ეს უკანასკნელი ხომ მოიცავს ერთი მხრივ დროის უზარმაზარ მონაკვეთს ენეოლითამდე და მეორე მხრივ თითქმის ერთ ათასწლეულს ბაგრატ მესამის ზეობის შემდგომ. საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ნიკო ბერძენიშვილი ნაკლებად შეეხო ჩვენი ისტორიის დროის ამ დიდ მონაკვეთებს.

რა სადავო საკითხი უნდა იყოს, რომ საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია საისტორიო-გეოგრაფიული კუთხით (გორებად, ხევებად და ქვეყნებად) ეკუთვნის სწორედ ნიკო ბერძენიშვილს. არადა, ამაზე პრეტენზიას აცხადებს დავით მუსხელიშვილიც. მაგრამ ეს ხომ აბსურდია და მსგავსი რამის მტკიცება გათვლილია ოდენ საკითხის არსში ჩაუხედავ მკითხველებზე.

ნიკო ბერძენიშვილისთვის უძირითადეს საისტორიო-გეოგრაფიულ ცნებას წარმოადგენდა „ქვეყანა“ და ამის თაობაზე მისეული აზრები მასთან დაახლოებულ პირებს მხოლოდ მერვე წიგნის გამოსვლის შემდეგ როდი უნდა შეეტყოთ, არამედ ნიკო ბერძენიშვილთან უშუალო კონტაქტებისას.

ჩვენი შეხედულებით, ნიკო ბერძენიშვილი მნიშვნელოვანწილად უხდიდა ხარკს ეკონომიკურ მატერიალიზმს, როცა ახ.წ. VI საუკუნიდან მოყოლებული „ქვეყნების“ განვითარებას ჯერ დაშლას ცალკეულ სამთავროებად, შემდეგ კი სამეფო-სამთავროების და ერთიანი საქართველოს წარმოქმნას (ბაგრატ III-ის დროს) უკავშირებდა ძირითად ეკონომიკურ პროგრესს (საწარმოო ძალთა განვითარებას). ასეთსავე შეცდომას იმეორებს დავით მუსხელიშვილიც.

მივყვეთ ნიკო ბერძენიშვილის აზრთა მსვლელობას. იგი წერდა: **„X-XII საუკუნეებში არა მარტო „საქართველო“ — ახალი ქვეყანა — წარმოიქმნა, არამედ ჩაისახა კიდევ უფრო დიდი სამყარო კავკასია. მას ჯერ ისტორიულ-გეოგრაფიული სახელიც კი არ ჰქონია, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ მისი სახელი „საქართველოვე“ იქნებოდა“** (წიგნი VIII, გვ. 643. იხ. აგრეთვე გვ. 400, 406, 412, 410-11 და სხვ.).

აღნიშნული აზრი დავით მუსხელიშვილთან ასე ფიგურირებს: **„და ბოლოს, რომ ეს დიდი პროცესი სრულიად რეალური და ობიექტურად ურთიერთგაპირობებული კანონზომიერება იყო, დასტურდება იმითაც, რომ ერთი საუკუნის შემდეგ XII ს. დასაწყისში საქართველოს უდიდესმა პოლიტიკურმა მოღვაწემ დავით აღმაშენებელმა, საქართველოს და კავკასიის გაერთიანების საქმე ბოლომდე მიიყვანა“** (მეორე წიგნი, გვ.244).

ამ სტრიქონების ავტორი თავს იმით იმართლებს, რომ მას წაკითხული არ ჰქონდა ნიკო ბერძენიშვილის VIII წიგნი. მაგრამ მას ხომ უნდა სცოდნოდა პასაჟი 1958 წელს გამოქვეყნებული „საქართველოს ისტორიიდან“: **„მეტად დიდი ამოცანა ისახებოდა: თურქების განდევნას ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვებოდა, ხოლო გამაერთიანებლის როლში საქართველო გამოდიოდა. დიდი ამოცანა, მებრძოლი საქართველოს წინაშე რომ დაისვა, საგანგებო ღონისძიებას მოითხოვდა და დავით მეფის კარმა შესაფერი გადაწყვეტილება მიიღო“** (გვ. 159). შეგახსენებთ, რომ შესაბამისი თავის ავტორი გახლდათ თვითონ ნიკო ბერძენიშვილი.

ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი გამოკვეთდა სათანადო იდეოლოგიის არსებობას: **„ისტორიული შეხედულება კავკასიის ხალხთა მონათესავეობის, კავკასიის ხალხთა ერთიანობის შესახებ, როგორც ჩანს, საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა. ამ შეხედულების ქართული ვარიანტი დასრულებული სახით ლეონტი მროველის თხზულებაშია წარმოდგენილი. ამდენად ლეონტის თეორია დავით მეფის კავკასიური პოლიტიკის იდეური საფუძველია“** (წიგნი VIII, გვ. 346).

დავით მუსხელიშვილთან ვკითხულობთ: **„თუ რამდენად ძლიერი, რეალური და სიცოცხლისუნარიანი იყო ეს დიდი პროცესი (ქართული სახელმწიფოებრიობის ზრდა — გ.ყ.), იქიდანაც ჩანს, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ველური თურქ-სელჯუკების დამანგრეველი თარეშის პირობებში იქმნება ლეონტი მროველის ცნობილი ეთნოლოგიური კონცეფცია, რომელიც მოწოდებულია, დაასაბუთოს კავკასიური სამყაროს ერთიანობა“** (მეორე წიგნი, გვ. 243-44).

ისტორიის... ინსტიტუტში გამართულ დისკუსიაზე ლეონტი მროველის საკითხს რომ ეხებოდა, დავით მუსხელიშვილი აცხადებდა: **„ცხადია, რომ თავის თხზულებას (ლეონტი — გ.ყ.) სწერდა(!) არა თავისთვის, არამედ საკითხავად მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოებისთვის, რომელშიც იმ დროისთვის მომწოდებელი იყო საკითხი ქართველთა გენეოლოგიის გარკვევისა“** (იხ. „მაცნე“, 1968, №1, გვ. 330). როგორც ჩანს, მისთვის ჯერჯერობით უცნობი რჩებოდა ნიკო ბერძენიშვილისეული შესაბამისი აზრი.

დავით მუსხელიშვილი გახაზავს ხოლმე ლეონტი მროველის საერთო ნააზრევის დიდ ფასეულობას. მაგრამ მივუთითებთ შესაბამის საისტორიო წყაროს: **„ლეონტი დიდი მოღვაწე (დიდი მეცნიერი): მისი მწყობრი თეორია ქართველთა წარმოშობისა, მისი კულტურული ჩამოყალიბების შესახებ სახელმძღვანელო და ურყევი იყო საშუალო საუკუნეთა სიგრძეზე (მხოლოდ ივ. ჯავახიშვილმა შეუტია...)“** (ნიკო ბერძენიშვილი, სის, წიგნი VIII, გვ. 380-381); „ლეონტი — ქართული ეროვნული კულტურის ეს დიდი თეორეტიკოსი“ (იქვე, გვ. 419).

ნიკო ბერძენიშვილი წერდა: **„აფხაზთა მეფეების პოლიტიკის პროგრესულობა იმაში იყო, რომ ის როგორც აღმავალი ფეოდალური საზოგადოების განსახიერება, ბუნებრივია, ამ საზოგადოებას დაემყარა, ხოლო ეს საზოგადოება ძირითადად, კულტურულად ქართული იყო და ეს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა წარმოშობისა იყო ამ კულტურის მატარებელი: ქართულის, მეგრულის თუ აფხაზურის. ასეთ პირობებში გასაგებია აფხაზთა მეფეების ქართული პოლიტიკა, მათი „ქართლსა ზედა“ ბრძოლა“** (წიგნი VIII, გვ. 601). შეადარეთ ეს აზრი **„ჩვენი გმირისას“: „ეს გარემოება იმთავითვე უცილობლად და მხოლოაზროვნად წყვეტს: 1) „აფხაზთა სამეფოს“ სახელმწიფოებრიობის არსს — რომ ეს იყო ქართული სამეფო; 2) „აფხაზთა მეფეების“ კულტურული ვინაობის საკითხს — რა ეთნიკური წამოშობისაც არ უნდა ყოფილიყვნენ, კულტურული მრწამსით ისინი იყვნენ ქართველები და 3) „აფხაზთა მეფეების“ პოლიტიკური კურსის გენერალურ მიმართულებას — ისინი იმთავითვე დაადგინენ(!) ზოგადქართულ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურსს, რაც გამოიხატებოდა „საქართველოს“ მშენებლობაში ქვეყნის შიგნით და გარეთ“** (იხ. წიგნი II, გვ. 152-153).

დავით მუსხელიშვილი თავს ისე გვაჩვენებს, რომ თავისი წიგნის დაწერისას მას წაკითხული არ ჰქონდა ნიკო ბერძენიშვილის „სის“-ის მერვე წიგნი. მაგრამ დავფიქრდეთ: 1971 წელს შეიქმნა შესაბამისი კომისია თუ სარედაქციო კოლეგია ამ წიგნის გამოსაცემად. მასში შეყვანილი იქნა „ჩვენი გმირი“ და იგი კოლეგიის წევრად ფიგურირებს VIII წიგნის გარეკანზე. დავით მუსხელიშვილი გვიმტკიცებს, რომ იგი მალე გამოვიდა კო-

მისიიდან თუ კოლეგიიდან. კითხვა ისმის: რატომ გააკეთა ასე? ნუთუ ამ ფორმით მიაგო მან პატივი მასწავლებლის ხსოვნას? კომისიის თუ კოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა, ფრიად პატიოსანმა, აწ განსვენებულმა პიროვნებამ ანრი ბოგვერაძემ მიამბო, რომ დავით მუსხელიშვილი სხვა დანარჩენებთან ერთად მონაწილეობდა ხელნაწერის დამუშავებაში, მაგრამ შემდგომ ისინი მიატოვა იმ მოტივით, რომ შესაბამის თემატიკაზე მას შემუშავებული ჰქონდა თავისი აზრები და შიშობდა... რათა ისინი არ დამთხვეოდა ნიკო ბერძენიშვილისას. მას ნორმალურად ეჩვენება, რომ 1975 წელს დაბეჭდილ ნიკო ბერძენიშვილისეულ VIII წიგნს, იგი არ მოიხსენიებს 1977 და 1980 წლებში დასტამბულ თავის წიგნებში.

დავით მუსხელიშვილისგან მე პირადად რამდენჯერმე მომისმენია აზრი ქართველი ერის გაჩენაზე ჯერ თავადაზნაურობის სახით, ისე, რომ ერთხელაც არ უხსენებია ამ იდეის ავტორი – ნიკო ბერძენიშვილი (შეგახსენებთ, რომ თავის მხრივ მსგავსი შეხედულების მტკიცებისას იგი ემყარებოდა ცნობილ ავსტრიელ სოციალ-დემოკრატ თეორეტიკოსს ოტო ბაუერსძ.

სხვათა შორის, დავით მუსხელიშვილის მიერ გაზეთ „კომუნისტში" 1990 წლის 12 აგვისტოს გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ სტატიაში „გზა ხსნისა" ვკითხულობთ, რომ აღმოსავლეთში მიწაზე კერძო საკუთრება განვითარებული იყო, ხოლო მის განვითარებას დაეფუძნა დასავლეთი-ანტიკური და ფეოდალური საზოგადოებები. მაგრამ ეს აზრი ეკუთვნის კარლ მარქსსა და ფრიდრიხ ენგელსს. მათ კი სტატიის ავტორი არ უთითებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამჯერადაც აზრთა შემთხვევით დამთხვევასთან გვაქვს საქმე!!!

2002 წელს გამოცემულ კრებულში **„ქართველი ხალხის ეთნოგენეზი"** დავით მუსხელიშვილი ჩერდება ნიკოლოზ გულაბერისძის ეთნოლოგიურ კონცეფციაზე, ისე რომ თითქოს ამ საკითხზე მანამდე სპეციალურად არავის არ ემსჯელა (გვ. 14ძ. მეტიც, იგი წერს: **„ზემოთქმული მაძლევს საფუძველს ქართველი ერი იმ დროს უკვე ჩამოყალიბებულად ვიგულისხმო"** (იქვეძ. მაგრამ ამ აზრს ხომ მანამდე სხვები გამოსთქვამდნენ.

ცხადია, ჩამოთვლილი ფაქტები (სხვებიც, თუ დაინტერესებული ისტორიკოსი შეეცდება მათს აღმოჩენასძ აშკარად წარმოაჩენენ დავით მუსხელიშვილის პლაგიატს. თუ ეს ასე არაა, მაშინ პლაგიატი ავტორისაგან მხოლოდ და მხოლოდ სხვათაგან პირწმინდად მთელი ტექსტის გადმოწერას ნიშნავს? კითხვას ამგვარადაც დავსვამთ: თუ ჩამოთვლილი (და კიდევ სხვაძ აზრები დავით მუსხელიშვილის საავტორო კუთვნილებაა, მაშინ რა ძირითადი საისტორიო-გეოგრაფიული იდეები მივაკუთვნოთ ნიკო ბერძენიშვილს?

2003 წელს, როგორც ვამბობდი, დავით მუსხელიშვილს გამოუჩნდა ოთხი აკადემიკოსი და ცამეტი დოქტორ-პროფესორი ადვოკატი. ამჯერად კი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გამოჩნდა პატიოსანი, მაგრამ გულუბრყვილო პიროვნების, პროფესორ გივი ჯამბურიას სახით. ერთ-ერთი ტელეარხის ეკრანიდან იგი მაყურებელს მოძღვრავდა, აზრთა დამთხვევები მეცნიერ-მასწავლებლებსა და შეგირდებს შორის სავსებით ბუნებრივი მოვლენააო. O, sancta simplicitas! ვნახოთ თუ ახალი ადვოკატებიც გამოჩნდებიან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება დავით მუსხელიშვილის ფარისევლური ბუნებაც, როცა აცხადებს: „ფრიად მძიმე ცოდვაში მედება ბრალი: ჩემს მასწავლებელს „დავესესხე" მთელს კონცეფციას და არც კი მივუთითე. ამაზე დიდი დანაშაული მეცნიერისთვის რა უნდა იყოს."

დაბოლოს, არ დავემსგავსები „ჩვენს გმირს" და მთელი ობიექტურობით, გულახდილობით აღვნიშნავ შემდეგ გარემოებას. საერთოდ, დავით მუსხელიშვილს ვერ წაართმევ შრომისმოყვარეობას, გარკვეულ ერუდიციას, ინტერესს ჩვენი ისტორიისადმი. მაგრამ შესაბამისი თემატიკის სათანადო დონეზე დამუშავება მას არ შეეძლო და, ცხადია, ვერც შეძლო. სხვა ამბავია, მას რომ ხელი მოეკიდა საქართველოს ცალკეული, ერთი ან რამდენიმე, რეგიონის საისტორიო-გეოგრაფიული შესწავლისათვის, რაც გააკეთეს დევი ბერძენიშვილმა, თამაზ ბერაძემ, ჯონდო გვასალიამ და სხვებმა (მოგვიანებით დავით მუსხელიშვილი შეეცადა ქვემო ქართლის ერთი ნაწილისა და ქიზიყის აღნიშნული კუთხით შესწავლას, მაგრამ „მოახერხა" და უკანასკნელის შესახებ დაწერილ ნარკვევში ერთხელაც კი არ მოიხსენია ნიკო ბერძენიშვილი, არც ივანე შაიშმელაშვილის 1973 წელს დაბეჭდილი **„ქიზიყი – სამეცნიერო პოპულარული ნარკვევი"**ძ. ნიკო ბერძენიშვილის გეგმით სწორედ ასე უნდა დაწყებულიყო შესაბამისი დამხმარე საისტორიო დისციპლინის განვითარება, განზოგადოებული წიგნი კი უნდა შექმნილიყო შემდეგ. მაგრამ ამ მიმართულებით დავით მუსხელიშვილს სამეცნიერო პერსპექტივა ნაკლები ჰქონდა (ოდენ საშუალო დიქტორობისა და პროფესორობის მიღწევაძ. მან, თავისი ამბიციური და სხვა უარყოფითი ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე (რასაც, როგორც ვიცით, მე მიკიჟინებსძ, მეორე გზა აირჩია და მისთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა წევრ-კორესპონდენტისა და აკადემიკოსის ტიტულები. მაგრამ „წარმატების" მიზეზი მხოლოდ მის პირად მცდელობებში როდია საძებნი, გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი სოციალური გარემო (კერძოდ სამეცნიერო, მეცნიერებათა აკადემიის დაჩიავებულობა-დაჩაჩანაკებულობის სახითძ, რამაც მისი ამგვარი მისწრაფების რეალიზაციას შეუწყო ხელი.

**გურამ ყორანაშვილი**


პოლიტიკური პარტია "მთლიანი საქართველოს"
შემოსავალ-გასავლის ანალიზი

| | | |
|---|---|---|
| 1. დაფინანსება სულ: | 14010,00 | ლარი |
| მათ შორის: | | |
| 1.1 მიღებული შემოწირულობები ფიზიკური პირებიდან (9 ფ/პ): | 14010,00 | ლარი |
| 2. ხარჯვითი ნაწილი სულ: | 4810,13 | |
| მათ შორის: | | |
| 2.1 ოფისი იჯარის ხარჯები | 2519,93 | ლარი |
| 2.2 სააქტო დარბაზის ქირა | 700,00 | ლარი |
| 2.3 სარეკლამო ხარჯები | 120,00 | ლარი |
| 2,4 ოფისის შენახვის ხარჯები | 1470,20 | ლარი |
| ჯამი: | 4810,13 | ლარი |

პ/პ "მთლიანი საქართველოს" თავმჯდომარე: ა. გახვიანი

ბუღალტერი: ნ. ყიფიანი

ჭადრაკი

# პირველად ოლიმპზე



**ვაჟთა საიუბილეო – 70-ე ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული მე-16 რეიტინგის მქონე ეროვნული ოსტატი დავით ზარქუა გახდა, რომელმაც ნოკაუტსისტემით მოწყობილი ტურნირის უმძაფრეს ფინალში ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების დიდოსტატ წევრს პაატა ფანცულაიას სძლია. ეს მისი პირველი დიდი წარმატებაა.**

ტიტულის ბედი ორმა ბლიცპარტიამ გადაწყვიტა, რომლებიც ახალგაზრდა მოჭადრაკემ მოიგო. მანამდე გამართული ოთხი კლასიკური პარტია და ორი ტაიბრეიკი ყაიმით დასრულდა. ბრინჯაოს მედლისთვის გამართულ ბრძოლაში ლუკა პაიჭაძემ გიგა ყუფარაძე დაამარცხა.

ჩემპიონსა და პრიზიორებს პრემიის სახით, შესაბამისად, 4000, 3500 და 3000 ლარი გადაეცათ, თანაც ზარქუამ საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი.

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე



**ინგლისი.** „ლივერპული" – „ფულჰემი" 1:0.

**ლიგის თასი. ნახევარფინალი.** „არსენალი" – იფსვიჩი" 3:0 (0:1), „ბირმინგემი" – „ვესტ ჰემი" 3:1 (დამატებით დროში, 1:2).

**გერმანიის თასი. მეოთხედფინალი.** „შალკე" – „ნიურნბერგი" 3:2 (დამატებით დროში), „ალემანია" – „ბაიერნი" 0:4, „დუისბურგი" – „კაიზერი" 2:0, „კოტბუსი" – „ჰოფენჰაიმი" 1:0.

**ესპანეთის „სამეფო თასი". პირველი ნახევარფინალური მატჩები.** „ბარსელონა" – „ალმერია" 5:0, „სევილია" – „რეალი" 0:1.

**იტალიის თასი. მეოთხედფინალი.** „ნაპოლი" – „ინტერი" 0:0 (პენალტებით – 4:5), „პალერმო" – „პარმა" 0:0 (პენალტებით – 5:4), „სამპდორია" – „მილანი" 1:2, „იუვენტუსი" – „რომა" 0:2.

**ნახევარფინალში ითამაშებენ:** „მილანი" – „პალერმო", „რომა" – „ინტერი".

რეტრო

# დრამა „ოლდ ტრაფორდზე"

**ალბათ, სტაჟიან გულშემატკივარს კარგად ახსოვს შესანიშნავი შოტლანდიელი ფეხბურთელი დენის ლოუ. მან მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს და ინგლისის ნაკრებებს შორის 1963 წლის 23 ოქტომბერს, ფეხბურთის გამოგონების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მატჩში, მასპინძელთა კარში გოლი გაიტანა და შეხვედრის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო.- 1964 წელს მას, როგორც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, გადაეცა „ოქროს ბურთი". დენის ლოუს უთამაშია ქართველი ფეხბურთელების წინააღმდეგ. ეს მოხდა 1967 წლის 10 მაისს გლაზგოში შოტლანდიის და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა მატჩის დროს. მას ლეგენდარული მურთაზ ხურცილავა მეურვეობდა. ქართველმა მცველმა მოახერხა შოტლანდიელთა შეტევის ლიდერის თამაშიდან გამოთიშვა.**



დენის ლოუ ბობი ჩარლტონთან და ჯორჯ ბესტთან ერთად „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდაა. მან თავისი კარიერის საუკეთესო წლები „იუნაიტედში" გაატარა. 1968 წელს „იუნაიტედმა" ლოუს ძალისხმევით პირველად მოიგო ჩემპიონთა თასი, კარიერა კი დაასრულა 34 წლის ასაკში 1974 წელს მეორე მანჩესტერულ გუნდში „სიტიში". ამ ორ მანჩესტერულ კლუბს შორის ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა იყო, რაც მონტეკებისა და კაპულეტების დაპირისპირებას გვაგონებს.

ეს მოხდა 1974 წლის 28 აპრილს „ოლდ ტრაფორდზე". მასპინძლები უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდნენ (იყო ასეთი დროც) და ეთამაშებოდნენ „სიტის", რომლის რიგებშიც გამოირჩეოდა „იუნაიტედიდან გადასული დენის ლოუ. „ოლდ ტრაფორდზე" ნამდვილი დრამა დატრიალდა. მატჩის მე-80 წუთზე ლამაზი დარტყმით ლოუმ „იუნაიტედი" ქვედა დივიზიონში გაისტუმრა. „სიტის" გულშემატკივრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიმომხილველებმა ამ მატჩს „ლოუს თამაში" უწოდეს.

საინტერესო იყო მომხდარზე დენის ლოუს რეაქცია. პარტნიორები მას ულოცავდნენ, ის კი თავჩაქინდრული იდგა. ცოტა ხანში ის მწვრთნელმა შეცვალა. აი, როგორ იგონებს ამ ამბავს თვით ლეგენდარული შოტლანდიელი: „19 წლის მანძილზე ყოველნაირად ვცდილობდი გოლის გატანას და როცა მიზანს მივაღწევდი, უზომოდ მიხაროდა. ის გოლი კი ერთადერთია, რომელმაც გული ძალიან მატკინა". ის „იუნაიტედის" კარში გატანილ ამ გოლს „კარიერის უცუდეს მომენტს" უწოდებს.

ასე რომ, სახელგანთქმულმა დენის ლოუმ უდიდესი წვლილი შეიტანა არა მარტო „მანჩესტერ იუნაიტედის" აღზევებაში, არამედ დაცემაშიც.

**მერაბ კალანდაძე**

კალათბურთი

# ერთი ქულის ფასი

**ევროლიგის მეორე ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა გიორგი შერმადინმა სლოვენიურ კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა და პარტნიორებს კინაღამ სენსაციური გამარჯვება მოუტანა.**

ჩვენმა თანამემამულემ სარბიელზე გატარებულ 23 წუთში ლიუბლიანას „ოლიმპიას" 14 ქულა (4 ორქულიანი, 6 საჯარიმო) და 6 მოხსნა შეაშველა, თუმცა მოქმედი ჩემპიონის – მრისხანე „ბარსელონას" დასამარცხებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – 67:68. გადამწყვეტი ბურთი კატალონიელთა ვეტერანმა სნაიპერმა ნავარომ ჩააგდო, რომელმაც სულ 27 ქულას მოუყარა თავი.



საკალათბურთო სამყარომ ჯერჯერობით მხოლოდ სამი ისეთი პიროვნება იცის, რომელსაც ევროლიგა (მანამდე ჩემპიონთა თასი) მოგებული აქვს როგორც მოთამაშის, ისე მწვრთნელის ამპლუაში. ესენი არიან არმენაკ ალაჩაჩიანი (ცსკა), ლოლო საინსი (მადრიდის „რეალი") და სვეტისლავ პეშიჩი („ბარსელონა"). ეს უკანასკნელი მიღწევის გამეორებას წლეულს „ვალენსიაში" ცდილობს, მაგრამ, ეტყობა, ძალიან გაუჭირდება.

მორიგი მატჩი ესპანელებმა სტამბოლში „ფენერბახჩესთან" დათმეს – 73:75, არადა ბოლო წამებზე მარტინესს ორჯერ გაუცუდდა შორეული ტყორცნა. მასპინძელთა გამთამაშებელმა ომერ ონანმა 22 ქულით ისახელა თავი.

ტურის მოვლენად შეიძლება შეფასდეს თელ-ავივის „მაქაბის" მიერ „რომას" დაჩოქება – 99:58(!). ებრაელთა ბერძენმა გიგანტმა სოფოკლის შორცანიდისმა პირადი მონაგარი 19 ქულითა და 10 მოხსნით გაიმდიდრა.

**გთავაზობთ II ტურის სრულ შედეგებს:**

**„ა" ჯგუფი.** „ტაუგრესი" – „რიტასი" 86:89, „პანათინაიკოსი" – „უნიკახა" 82:58.

„პანათინაიკოსი" – 2, „რიტასი", „ტაუგრესი" – 1-1, „უნიკახა" – 0 მოგება.

**„ბ" ჯგუფი.** „მაკაბი" – „რომა" 99:58, „ოლიმპია" – „ბარსელონა" 67:68.

„ბარსელონა" – 2, „მაკაბი", „ოლიმპია" – 1-1, „რომა" – 0 მოგება.

**„გ" ჯგუფი.** „პარტიზანი" – „ეფესი" 76:79, „მონტეპასკი" – „რეალი" 68:78.

„რეალი", „ეფესი" – 2-2, „მონტეპასკი", „პარტიზანი" – 0-0 მოგება.

**„დ" ჯგუფი.** „ჟალგირისი" – „ოლიმპიაკოსი" 64:71, „ფენერბახჩე" – „ვალენსია" 75:73.

„ფენერბახჩე" – 2, „ვალენსია", „ოლიმპიაკოსი" – 1-1, „ჟალგირისი" – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ტაუგრესი" – „პანათინაიკოსი", „უნიკახა" – „რიტასი", „ბარსელონა" – „რომა", „მაკაბი" – „ოლიმპია", „რეალი" – „ეფესი", „პარტიზანი" – „მონტეპასკი" (3 თებერვალი), „ფენერბახჩე" – „ჟალგირისი", „ოლიმპიაკოსი" – „ვალენსია" (2 თებერვალი).

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# ახალი ერა



**ალბათ, ძნელი გასახსენებელია, უკანასკნელად როდის გაიმართა „დიდი მუზარადის" ისეთი ტურნირი, რომლის ფინალშიც რაფაელ ნადალს ან როჯერ ფედერერს არ ეთამაშოს.**

ნავსი წლეულს გატყდება: „მწვანე კონტინენტზე" მიმდინარე ავსტრალიის ღია ჩემპიონატს მალიორკის მკვიდრი, როგორც უკვე გაუწყეთ, თანამემამულე დავიდ ფერერთან მეოთხედფინალში მარცხის შემდეგ გამოეთიშა, დიდმა შვეიცარიელმა კი ღუზა ნახევარფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩთან ჩაუშვა.

სერბის მეტოქე, რომელსაც მელბურნის კორტებზე უკვე აქვს მოპოვებული მთავარი ჯილდო 2008 წელს, ფერერისა და შოტლანდიელი ენდი მიურეის დუელმა გამოავლინა. გამარჯვება ბრიტანელმა მოიპოვა.

ახალი ხილი

# ჩქარ მატარებელში

**უჩვეულო ადგილი აირჩიეს ერთმანეთთან დაპირისპირებისთვის სახელგანთქმულმა მოჭადრაკეებმა, მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა და მოქმედმა გვირგვინოსანმა, ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა. ისინი 1 თებერვალს მატჩს გამართავენ ესპანეთში, მადრიდ-ვალენსიის ჩქარ მატარებელში. ის კი ამ ორ ქალაქს შორის 350 კილომეტრს საათნახევარში გაივლის.**



ცნობილი დიდოსტატები ჯერ მონაწილეობას მიიღებენ ამ უჩვეულო პაექრობის პრეზენტაციაში, შემდეგ კი პირველ პარტიას ითამაშებენ მადრიდის რკინიგზის სადგურ „ატოჩაში", შემდეგ მატარებელში გამართავენ ერთდროული თამაშის სეანსს 10-10 დაფაზე. ვალენსიაში ჩასვლის შემდეგ ისინი მოგზაურობის შთაბეჭდილებას გაუზიარებენ დამხვდურთ, აგრეთვე გამართავენ დასკვნით პარტიას.

ესპანეთის რკინიგზის სახელმწიფო კომპანიის აზრით, ჩქარ მატარებელში ორი დიდი მოჭადრაკის შეხვედრა ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობისა და რკინიგზის ჩქაროსნული ტრანსპორტის პოპულარობასაც.

კრივი

# კლიჩკოც მიდის?

**თუმცა 19 მარტისთვის დანიშნულია უკრაინელი მძიმეწონოსანი მოკრივის, WBC ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ვიტალი კლიჩკოს მატჩი კუბელ ოდლინიერ სოლისთან, მაგრამ მაინც გავრცელდა ხმები, რომ უფროსი კლიჩკო (მისი უმცროსი ძმა ვლადიმერიც მსოფლიო ჩემპიონია) დიდი სპორტიდან მიდისო.**

ვიტალი კლიჩკოს წლეულს, ივლისში 40 წელი უსრულდება მან განაცხადა, რომ „ბევრმა სპორტსმენმა ხელიდან გაუშვა კარიერის დამთავრების სწორი მომენტი. მე ეს არ დამემართება, თავს 25 წლისასავით ვგრძნობ, მაგრამ ქაღალდზე უკვე მოკრივე ბაბუა ვარ".

ჟურნალისტის შეკითხვაზე, წავა თუ არა უკვე 2011 წელს, ვიტალიმ უპასუხა: „ეს ღვთის ხელშია. ყოველი ბრძოლა დაკავშირებულია დიდ რისკთან. უნდა ვიყოთ რეალისტები, თუმცა ორიოდე ბრძოლა მაინც მექნება".



ამავე დროს კლიჩკომ გააკრიტიკა თავისი მომავალი მეტოქის პრომოუტერი, რომელსაც უთქვამს, რომ სოლისი ბოლოს და ბოლოს გაანთავისუფლებს მსოფლიოს ძმებს კლიჩკოებისგანო. ვიტალიმ კი უპასუხა, რომ ის მართალი არ იყო, ეს მე გავანთავისუფლებ მსოფლიოს ბატონ ონერისგან. თანაც დიდი სიამოვნებითო.

ინტერნეტიდან

# ლამაზმანი თავად ვერ გარკვეულა

**ლაპარაკია სახელგანთქმულ იტალიელ მოდელზე სარა ტომაზიზე, ამ დღეებში მარტო რომ ნახეს კინოში პაოლო ჯენოვეზეს ფილმის Immeturi პრემიერაზე. ყველამ გაიკვირვა, რომ ლამაზმანი თანამგზავრის გარეშე მივიდა იქ, თუმცა ყველამ კარგად იცოდა სინიორიტა ტომაზის ამურული საქმეები.**

ჯერ იყო რონალდინიო, საქმე კინაღამ ქორწილამდეც კი მივიდა, მაგრამ უცებ გამოჩნდა სარას ყოფილი შეყვარებული ფაბიო კვალიარელა და ყველაფერი ჩაუშალა. რონალდინიო სამშობლოში – ბრაზილიაში გაფრინდა „ფლამენგოში" სათამაშოდ, ხოლო კვალიარელამ სერიოზული ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლომდე მინდორზე ველარ გამოჩნდება. ფაქტია, რომ სარა მას ყურადღებას აღარ უთმობს. როგორც ჩანს, მზეთუნახავი თავად ვერ გარკვეულა თავის გრძნობებში, რასაც თავადაც აღიარებს. რჩება ერთი რამ – ვუსურვოთ რონალდინიოს სამშობლოში წარმატება, კვალიარელას მალე გამოჯანმრთელება, ლამაზმან ტომაზის კი თავის გრძნობებში გარკვევა.



**წიგნი**

# 47-წლიანი გარჯის ჩინებული ნაყოფი




**ვერ ვიტყვი, ითვლება თუ არა ახლადგამოსული საინტერესო წიგნი ჩვენს დროში და ჩვენთან ძვირფას საჩუქრად (წიგნებსაც რომ საერთოდ ძვირი ფასი ადევს, იმას არ ვგულისხმობ...ძ. ეჭვი იმიტომ მიჩნდება, რომ ცხოვრება ერთობ „კომპიუტერიზებული" გახდა, ეგ საოცარი გამონაგონი, კომპიუტერი, ძალუმად შემოიჭრა ყოფაში და წიგნის მნიშვნელოვნება, მგონი, გააფერმკრთალა.**

ქვემოთ ახლახან დასტამბულ კაპიტალურ **„რუსულ-ქართულ მათემატიკურ ლექსიკონზე"** უნდა ვისაუბრო, რომელსაც მე პირადად მართლაც რომ შესანიშნავ საჩუქრად მივიჩნევ მარტო მათემატიკოსთათვის კი არა, უბრალოდ, მათემატიკის მოყვარულებისთვისაც.

459-გვერდიანი და 40 ათასი ტერმინის შემცველი ლექსიკონის ავტორი ექვსია: გიორგი ჭოლოშვილი, გივი თევზაძე, გურამ სულხანიშვილი, რამაზ აბდულაევი, ომარ ძაგნიძე, ადა მიჩიტაშვილი. ამ კოლექტივის სათავეში გამორჩენილი ქართველი ტოპოლოგის, აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის სახელია, რომელიც წიგნზე მუშაობისას გუნდის სული და გული გახლდათ. ბატონი გიორგის გარდა, სამწუხაროდ, ვერც გივი თევზაძე, გურამ სულხანიშვილი და რამაზ აბდულაევი მოესწრნენ დღის სინათლეზე თავიანთი დიდი ხნის ნაშრომის გამოსვლას. აქვე სათქმელად, სწორედ აკადემიკოსი გიორგი ჭოლოშვილი „ზის" ლექსიკონის რედაქტორად.

კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკუთვნის ადა მიჩიტაშვილსა და მამუკა ჯიბლაძეს. ტერმინებზე მუშაობისას, ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოს სამთავრობო დონეზე შექმნილი კომისია ლექსიკონისათვის ბაზისად იყენებდა ინგლისურ, იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ტერმინებს. აი, ამ ხუთენოვანი(!ძ ტერმინებიდანაა აქ წარმოდგენილი რუსული მათემატიკური ტერმინები.

ქართულად მათემატიკური ტერმინების შემუშავების პირველ ცდას იოსებ ავალიშვილმა მიმართა, რომელმაც 1917 წელს გამოსცა თბილისში „მათემატიკური ტერმინები" (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართულიძ. 1921 წლიდან ტერმინოლოგიური მუშაობა სახელმწიფო საქმედ იქცევა. ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებლობა სწავლების გაქართულებამ გამოიწვია, რასაც საფუძველი პროფესორმა ანდრია რაზმაძემ ჩაუყარა და ამ მხრივაც წვლილდებული გახდა ქართული მეცნიერების წინარე.

1925 წელს ტფილისში გამოდის პროფესორ ნიკოლოზ მუსხელიშვილის, დოცენტების გიორგი ნიკოლაძისა და არჩილ ხარაძის „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი" (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული; წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა თეორიული მექანიკითძ; ამავე წელს სახელგამი ბეჭდავს „მათემატიკის ტერმინებს".

სამივე ხსენებული წიგნის ავტორები ერთობ ბუნებრივად მიუდგნენ საკითხს: გაქართულდეს არა თვით რუსული სიტყვა, არამედ რუსული ტერმინის შინაარსი. მაგალითად: площадь ითარგმნოს არა როგორც „მოედანი", არამედ როგორც „ფართობი".

შემდგომ სატერმინოლოგიო თარიღად 1944 წელი გვევლინება, როცა პროფესორ ვუკოლ ბერიძის რედაქციით კვლავ თბილისში გამოიცა „მათემატიკური ტერმინოლოგია" (ამჯერად მხოლოდ რუსულ-ქართული: მათემატიკა, თეორიული მექანიკა, ასტრონომიაძ, სადაც უკუგდებულია წინა სამი ლექსიკონის „მოჭარბებული" ქართულობა, რა მიზეზითაც რამდენიმე საყურადღებო ტერმინი „დაიკარგა" (მაგალითად, пунктир — წინწკალი, конус — წოწოლი...ძ.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მათემატიკის მრავალი დარგი ისე განვითარდა და უცხოურ ენებზე იმდენი ახალი ტერმინი გაჩნდა, რომ საჭირო შეიქმნა სათანადო ქართულის მოძებნა. საამისო მუშაობა 1963 წელს დაიწყო კომისიის შექმნით, აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე (აქედან უნდა აითვალოს ახალი ლექსიკონის „ბიოგრაფიაც"..ძ.

პირველ ეტაპზე შეუდგნენ გარკვეული წიგნებიდან ტერმინოლოგიური ბარათების შედგენას, რაზეც სხვადასხვა დროს გაისარჯნენ ზაზა ქარუმიძე, ნანა მენთეშაშვილი, ლევან ხელაია, ადა მიჩიტაშვილი...

1998 წლისათვის ლექსიკონი სრულიად მზად იყო, მაგრამ ფინანსების უქონლობის გამო გამოცემა-დაბეჭდვაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა... გამოქვეყნება ოდენ შარშან მოხერხდა შოთა რუსთაველის ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის შოთა მახარაძის ფინანსური თანადგომით, რისთვისაც ის მხურვალე მადლობას გაზეთის ფურცლებიდანაც იმსახურებს...

ათეულობითწლიანმა შრომამ ათეულობით ადამიანისა და უწინარეს, ექვსი ავტორისა, მართლაც რომ შესანიშნავი შედეგი მოიტანა ამ „რუსულ-ქართული მათემატიკური ლექსიკონის" სახით, რომელიც უთუოდ იქცევა საშვილიშვილო წიგნად.

ლექსიკონის „ზერელე" გადახედვა-გადაფურცვლითაც დაინახავდა მიხვდები, რამდენი ნაფიქრი და „ნაფერებია" მათემატიკური ტერმინები, რამდენი კარგად მიგნებული სიახლეა. სწორედ ასეთებად მეჩვენა „გარედი" (в нешностьძ, „შიგნედი" (в нутренностьძ, „აკვადრატება" (возведение в квадратძ, „ნიშანდება" (знакоположениеძ, უკუხევითი მოძრაობა (попятные движениеძ და არაერთი სხვა...

დიდი მადლობა ქალბატონ ადასა და ბატონ ომარს, რომლებმაც ოთხი კოლეგის დაკარგვის მერე იტვირთეს ამოდენა საქმის ბოლომდე მიყვანა და ბატონ შოთას — ამნაირი სანიმუშო ქველმოქმედებისათვის.

**თამაზ ეზანოიძე**

**ინფორმაცია**

## მავზოლეუმიდან ლენინსაც გამოასახლებენ



**რუსების უმრავლესობის სურვილია, რომ ლენინი სანკტ-პეტერბურგში მდებარე ვოლკოვოს სასაფლაოზე დაიმარხოს. აღნიშნულს „ლევადა-ცენტრის" მიერ გამოკითხულთა 40 %-მა დაუჭირა მხარი. რესპონდენტთა 31%-მა განაცხადა, რომ მათი სურვილია ლენინის ნეშტი წითელ მოედანზე მავზოლეუმში დარჩეს. თავად მავზოლეუმის ამჟამინდელ ადგილზე დატოვება გამოკითხულთა 66%-ს სურს. მხოლოდ 8 %-ის სურვილია, რომ ნაგებობა დაანგრიონ.**



**ლენინის მოღვაწეობის შეფასებისას რუსების 34 % მიიჩნევს, რომ მართალია, იგი ისტორიას შემორჩება, მაგრამ მისი კვალის გამგრძელებლები აღარ იარსებებენ.**

**2008 წელს ლენინის ნეშტის დაფვლის იდეით გამოკითხულთა 31 % გამოვიდა, ხოლო მისი ნეშტის მავზოლეუმში დატოვებას 34%-მა დაუჭირა მხარი. ზუსტად ვოლკოვოს (დღევანდელ ვოლკოვსკოეს) სასაფლაოს უპირატესობა იმიტომ მიანიჭეს, რომ ამ სასაფლაოზე არიან დაკრძალულნი ვლადიმერ ლენინის დედა და და.**

**21-დან 24 იანვრამდე ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა რუსეთის 45 რეგიონის 1600 მოქალაქემ მიიღო. ცნობისთვის, ლენინის დაკრძალვის წინადადება რეგულარულად გახმიანდება ხოლმე. 2011 წელს ამ წინადადებით სახელმწიფო დუმის დეპუტატი „ერთიანი რუსეთიდან" ვლადიმერ მედინსკი გამოვიდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

**სიღნაღური წიგნის თარო**

# ახალგაზრდული სულისკვეთებით

**საქართველოს სკოლების დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში შეტანილი ნაწარმოებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი ავტორი ახალგაზრდა მწერალი უნდა იყოს (ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნიათ ნორჩ მკითხველ-მოსწავლეებსძ, რადგან ამ პატარა საყმაწვილო მოთხრობების, ზღაპრებისა თუ ლექსების სულისკვეთება ნამდვილად ახალგაზრდულია, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მათ შემქმნელს, სიღნაღის მკვიდრ ვლადიმერ ასლამაზიშვილს ოთხმოცი წლისთვის გადაუბიჯებია. თავად სიკეთისა და პატიოსნების განსახიერებას უნდა, რომ სწორედ ეს დიდი ადამიანური თვისებები ჩაუნერგოს თავის ნორჩ მკითხველს.**

სწორედ ამას ემსახურება **ვლადიმერ ასლამაზიშვილის** ახალი წიგნი **„კურკა კერკელი, მეზღაპრე ადამიანო და უჩინარი ბიჭი"**.




სიღნაღელივე ქეთინო შალამბერიძის მიერ მშვენივრად დასურათებული ზღაპრის გმირები — კეთილი საქმისთვის დამეგობრებული კურკა, ადამიანო, უჩინარი ბიჭი და სხვები ფიფინეთის სამეფოს ხარბი ფშუტა მეფის ტყვეობიდან გოგნი გოგონას გამოსახსნელად მიეშურებიან, თან ძმაკაცობის, მეგობრობის, სიკეთის დასამახსოვრებელ მაგალითებს იძლევიან.

**„თუ გინდა, რომ იყო**
**სალ კლდესავით მყარი,**
**უნდა გყავდეს გვერდით**
**ბევრი მეგობარი!"**

ეს დაძმობილებულების სიმღერიდანაა, ჯადოსნური სალამურის თანხლებით რომ ასრულებენ. უნდა ითქვას, რომ ზღაპარში ორიგინალურადაა ჩართული ლექსებიც, ანდაზებიც და დარიგება-აფორიზმებიც, რაც ბავშვებს ბევრ რამეს შესძენს, თუნდაც ასეთი, „სადაც მეგობრობისა და სიკეთის მარცვალი ღვივის, კაცი ადვილად არ გაიწირება".

როგორც ყველა ზღაპარში, აქაც ყველაფერი ისე მოხდა — ბოროტებაზე სიკეთემ გაიმარჯვა, ტყვეობიდან გამოიხსნეს გოგნი-გოგონა. „თუმცა ზღაპარს საოცარი თვისება აქვს, — ვკითხულობთ ამ წიგნის ბოლოს, — ვინ იცის, იქნებ კიდევ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს". ჩვენც დიდი იმედი გვაქვს, რომ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით წიგნის თაროებზე ვლადიმერ ასლამაზიშვილის სიკეთით სავსე ლექსებსაც, მოთხრობებსაც და ზღაპრებსაც!

# სიყვარულის ქალაქმა ათქმევინა

**ის სწორედ იმ ქუჩაზე ცხოვრობს და მუშაობს, სიყვარულის ქალაქისადმი მიძღვნილი მისი ლექსების წიგნის ყდას რომ ამშვენებს — მას ბარათაშვილის ქუჩა ჰქვია და, ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ მასაც პოეტური ნიჭი გაუღვივა და თავისი ნაფიქრ-ნააზრევი ერთ წიგნად შეაკონინა, რომელსაც „ჩემი სიღნაღი ჩემი ფიქრია" ჰქვია.**

არახალია, რომ გომბორის ქედზე შეფენილი ეს კოპწია ქალაქი ბევრი ცნობილი თუ უცნობის ლექსით სადიდებელი გახდა. ალბათ ყველა მათგანის ჩამოთვლაც გაჭირდებოდა, ახლა კი მათ „ამქარს" კიდევ ერთი პოეტი ქალი — **თამარ ნადირაშვილიც** შეემატა.

როგორც კრებულის შესავალში მანანა დემურიშვილი წერს, მის ლექსებში უხვად იფრქვევა ულევი სიხარული და სიყვარული, დარდი და ნაღველი, მონატრება და იმედი.

დიახ, მრავალფეროვანია დასტამბული ლექსების თემატიკა. ალბათ, ბუნებრივია, რომ პირველ რიგში ლამაზი ქალაქისადმი მიძღვნილი სტრიქონებია.




სწორედ ამ პატარა ქალაქის წარსულს, აწმყოსა და მომავალს ეძღვნება ბევრი ლექსი, მათ შორისაა „ბოდბის მონასტერი", „წყარო „თავგატეხილა", „ვანო სარაჯიშვილი" და სხვ.

ალბათ, არ გაგიკვირდებათ, რომ თამარ ნადირაშვილი თავისებურ ხარკს იხდის დიდი წინაპრების — ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, აგრეთვე იოსებ გრიშაშვილის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, იოსებ ნონეშვილისა და სხვათა მიმართ.

**„საქართველო ხომ ღმერთისგან**
**დალოცვილია,**
**მაშ რატომ გიკვირთ, თუ აქ იშვა**
**დიდი ილია?"**

ალბათ ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ ვის ეძღვნება ეს სტრიქონებიც.

**„გიყვარდა მიწა, მშობლიური, შენი მამული**
**და ფეხშიშველა სეირნობა ცვრიან ბალახზე,**
**ვერხვის ფოთლების ჯადოსნური**
**„თეთრი ლაშქარი",**
**და მომნუსხველი „შორეული**
**ცის სილაჟვარდე".**

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ თამარ ნადირაშვილი ხშირად იყენებს სიტყვას „ლამაზი" და მისი სტრიქონებიც ნამდვილად ლამაზად იკითხება:

**„და მოგოგმანობს გოგო გნოლივით,**
**ქარი უწეწავს ფაფუკ დალალებს,**
**მთლად მოჰფენია ქუჩებს ჭორივით**
**მისი ღიმილი და სილამაზე".**

ბოლოს უნდა ვთქვათ, რომ ლამაზი ქალაქის წიგნის თაროს ეს პატარა ლამაზი ლექსების წიგნიც დაამშვენებს.

**ვალიკო სიმონიშვილი**

**ზურაბ და თინა გაბუნიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მეგობრის, უკეთილშობილესი ადამიანის**

**გია გიორგობიანის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს.**

**განცხადება**

2011 წლის 18 თებერვალს 15 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება თბილისის №1 „ავეჯის სახლის" აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: მარშალ გელოვანის 36.

დღის წესრიგი:

1. 2010 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და მომავალი ამოცანები;
2. მოგების განაწილების შედეგად დამტკიცების მიღება;
3. დირექციისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.

**სამეთვალყურეო საბჭო.**

## დაიჯესტი

### თამბაქო და... ვარსკვლავები



**ბევრმა ცნობილმა პიროვნებამ თამბაქოს მოწევას თავი დაანება. ზოგი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობამ შეაშინა, სხვები მიხვდნენ, რომ ამით ცუდ მაგალითს აძლევენ თავიანთ ახლობლებს, შვილებს (მაგალითად, ფიდელ კასტრომ სიგარების წევას თავი დაანება საკუთარი ხალხისთვის მაგალითის მისაცემად!). დღითი დღე თამბაქოს მოწევას თავდანებებულ ვარსკვლავთა რიცხვიც იზრდება.**

**ბრედ პიტმა** სიგარეტის წევას თავი მას შემდეგ დაანება, რაც ანჯელინა ჯოლი შეირთო, რომელმაც ქმართან ჩაატარა საუბარი თემაზე „შენ ჩვენი შვილების მაგალითი ხარ“, რის შემდეგ ბრედს სიგარეტისთვის არ მოუკიდებია.

**მიკ ჯაგერმა,** რომელიც თაყვანისმცემლებს უსიგარეტოდ ვერ წარმოედგინათ, სიგარეტის წევას 58 წლის ასაკში დაანება. ამის შედეგად იგი გაცილებით უკეთ გამოიყურება, მისი შვიდივე შვილი კი მამის გმირობით ამაყობს.

**ჯულია რობერტს** დიდი ხნის მანძილზე მუცელი არ ჰყვებოდა, სანამ ექიმმა სიგარეტისთვის თავის დანებება არ ურჩია. თამბაქოს მოწევის ცდუნებისთვის რომ ექლია, „ლამაზმანი“ იოგას ვარჯიშს მიჰყვა. შედეგად 2005 წელს მას ტყუპები ეყოლა, სადღეისოდ კი უკვე სამი შვილი ჰყავს.

**სილვესტერ სტალონემ** თამბაქოს წევას ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაანება თავი, როცა ბოქსიორ როკიზე სერიების გადაღება დაიწყო. მიზეზი კი ის გახდა, რომ ერთხელ რინგზე მას ჰაერის უკმარისობა დაემართა...



**პენელოპა კრუსმა** თავს მედიტაციით უშველა და, როგორც ჩანს, ამის მთავარი მიზეზია სიყვარული. ამბობენ, ნიკოლას ქეიჯი მწეველ ქალებს ვერ იტანსო...

54 წლის **ალ პაჩინომ** დაადგინა, რომ ნიკოტინი მისი ხმის შეუდარებელ ტემბრს აფუჭებდა, რის შედეგად 30 წლის თამბაქოს ჩვევას „სანაგვეში გადაუძახა“.

46 წლის **შარონ სტოუნი** სან-ფრანცისკოს საავადმყოფოში თავის ტვინში სისხლჩაქცევით მოხვდა, სადაც სერიოზულად დაფიქრდა იმაზე, თუ რა უფრო ფასეულია: სიგარეტი თუ სიცოცხლე? ახლა იგი აღარ ეწევა.

### ნერვებს ნუ აიშლით და ძალები დაზოგეთ!

**თავისთავად, ადამიანის მიზანსწრაფვა, მით უმეტეს, როცა ის სასიკეთო საქმეზეა მიმართული, პატივისცემას იმსახურებს, თუმცა ცოტა ხნის წინათ მედიკოსებმა დაადგინეს, რომ მიზანსწრაფულობასა და ჯანმრთელობას შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირი ყოფილა.**



ერთი შეხედვით, მიზანსწრაფვა, მიზანდასახულობა სულის გამამხნევებელია, მატონიზებელი, მაგრამ ამერიკელ მეცნიერთა კვლევამ აჩვენა, რომ ჭარბ მიზანსწრაფვას ცხოვრებაში ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა შეუძლია.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ჯიქურ მიზანსწრაფულ ადამიანებს CRP-ცილის გაცილებით ნაკლები შემცველობა აქვთ, რომელიც ფიზიკური ანთების ინდიკატორს წარმოადგენს, რის შედეგად მათ დიაბეტისა და გულის დაავადებების შეყრის მეტი ალბათობა აქვთ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებიან.

ამიტომ, რთულ ვითარებაში მყოფთ, მედიკოსები საკუთარი ნერვებისა და ძალების დაზოგვას გვირჩევენ, რაც, მათი აზრით, ჯანმრთელობის შენარჩუნების ყველაზე ოპტიმალური ხერხია.

### ძაფების „ხელმწიფე“

**კანადელმა მეცნიერებმა ნახშირწყალბადისგან ძაფის რთვა ისწავლეს.** ეს ძაფი ძალიან იაფია, ელასტიკურია და არაჩვეულებრივად გამძლე: ერთი კვადრატული მილიმეტრის კვეთის ძაფს 300 კილოგრამი ტვირთის დაჭერა შეუძლია. ნახშირწყალბადის ძაფის ძირითად ნედლეულს ნავთობის გადამუშავების ნარჩენები წარმოადგენს.

### „მძინარე მზეთუნახავის“ გამოღვიძების გზა

**რვა წლის მარკ იუს „ჩინელ მოცარტს“ უწოდებენ. ორი წლის ასაკში მან თავისით ააწყო პოპულარული სიმღერა „მერის ბატკანი ჰყავდა“, შემდეგ კი უზარმაზარი ნაბიჯებით წაიწია წინ.** ბიჭუნა სმენით 500-ზე მეტ კლასიკურ მელოდიას უკრავს. აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ დედის მუცლად ყოფნისას, მას კლასიკურ მუსიკას ასმენინებდნენ, მაგრამ, მეცნიერთა აზრით, საქმე მარტო ეს როდია. მარკს აბსოლუტური მუსიკალური სმენა აქვს, თუმცა ვერც ეს გარემოება უზრუნველყოფს მის არაორდინარულ სამუსიკო კარიერას. ამიტომ იგი დღეში რვა საათს მეცადინეობს (მეტის უფლებას დედა არ აძლევს!), ხოლო მონდომება, როგორც ცნობილია, ყოველგვარ ნიჭს ავითარებს – ასეა კინოხელოვნებაში, ბალეტში, ბიზნესში, რასაც ნებისმიერი გენიოსის ბიოგრაფია მოწმობს და ურომლისოდ ნებისმიერი ტალანტი მძინარე მზეთუნახავს ჰგავს.




## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● ავტომანქანის პირველი სანომრე ნიშანი IA 1 გერმანელი კომერსანტის რუდოლფ ჰერცოგის რძლის იოანა ანკერის პატივსაცემად შეიქმნა.

● ქალაქ პორტოფინოში ნაგვის ძეგლი დგას.

● ლისტის, შოპენისა და ალფრედ დე მიუსეს მუზა მწერალი ჟორჟ სანდი იყო.

● საფრანგეთის სამეფო ანგარიშებში ჩამოთვლილია თანხები, რაც 1369-1371 წლებში ვაჭარ ბერნარ ბელენატის გადაუხადეს სხვადასხვა ქსოვილში. ისინი არ შეუძენიათ სამოსის შესაკერად, საამისოდ ტყავის გამოყენებაც შეიძლებოდა, — ქსოვილები წიგნების ყდაში ჩასასმელად გამოიყენეს.

● 1454 წელს მესერ ტადეო პარიზიომ საჯაროდ განაცხადა, რადგან ჩემი ქალიშვილის გათხოვების დრო დადგა, მას კი უჭირს ორი ღირსეული პრეტენდენტიდან ერთ-ერთის ამორჩევა, საქმეს ღირსეული ორთაბრძოლა გადაწყვეტსო. მაგრამ პარიზიოს მიაჩნდა, რომ ქრისტიანული მორალისთვის მიუღებელი იყო სიკვდილისმომტანი შერკინებები, ამიტომაც ორთაბრძოლა საქმროებს შორის ჭადრაკის დაფაზე გაიმართა.

## ჭინჭარსიტყვა

### ორწყობილა

დავუყენებთ თვალებს
დუშმანს –
გავანათებთ ხვალე უშბას!..

### საბოჩელო

სხვაზე როცა მოვრჩებით,
ვახსენოთ ეგ ბოჩელი,
ეგებ ჩვენებური და
ეგებ სულაც ოზჩელი.
რა დაგვიჯდა ანდრია
აგრე რომ გადაგვრია?..

თამაზ ილმელი

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8089 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4398 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8924 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | -2 – +5 |
| ქუთაისი. | +4 – +13 |
| ბათუმი. | +3 – +15 |
| ზუგდიდი. | +3 – +14 |
| თელავი. | -3 – +6 |

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თქვენი შემოსავლების ნაწილი დაგიმალავთ! – ეუბნებიან მეწარმეს საგადასახადო ინსპექციაში.

– არაფერიც არ დამიმალავს! უბრალოდ „შემოსავლების“ გრაფაში ყველა ნული ვერ ჩაეტია.

* * *

– ასე ძალიან გიყვართ ცეკვა? – ეკითხება გოგო ბიჭს საცეკვაო მოედანზე.

– კი, ძალიან მიყვარს! – ამაყად უპასუხებს იგი.

– მერე რატომ არ ისწავლით?

* * *

– ქალიშვილო, ცოლს აი ასეთი ხელთათმანები მინდა ვუყიდო, მაგრამ ზუსტი ზომა არ ვიცი, – ეუბნება ტიპი გამყიდველს.

– დიდი ხელები აქვს?

– ზუსტად თქვენი ხელების ოდენა.



– მაშინ მე მოვიზომავ.

მოაზომა. იყიდა.

– იქნებ ფეხსაცმელიც შეგვერჩია ჩემი ცოლისთვის? ზუსტად თქვენი ზომის ფეხები ექნება, – ეეხში შედის ტიპი.

ფეხსაცმელიც მოიზომეს.

– ოჰ, ძალიან დიდი მადლობა.

– არაფრის. კიდევ რაიმეს ყიდვა ხომ არ გნებავთ?

– როგორი თავაზიანი ბრძანდებით... ისე ცოლმა „ოლვეის ულტრას“ საფენების ყიდვაც მთხოვა...

* * *

სამართალი, საბედნიეროდ, მაინც არსებობს. ჩემს მეზობელთან, რომელიც ნახევარი წელიწადი არემონტებდა ბინას და ყოველ დილაუთენია გვაღვიძებდა ბურღისა თუ ჩაქუჩის ხმაურით, რემონტის დამთავრების შემდეგ მისი სიდედრი გადმოვიდა მუდმივად საცხოვრებლად!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.